პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ყოველდღიური გაზეთი

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: №№ რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

შაბათი 12 ივნისი 1934 წ.
№ 135 (3991)
ფასი 10 კაპ.

## დღეს ნომერში

— საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება ყველა სისტემის საბჭოთა მეურნეობებში პურის აღების შესახებ.
— საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება საშემოსავლო გადასახადსა და კულტგამოსაღებზე დამატებითი შეღავათების დაწესების შესახებ.
— უცხოეთის პრესის კომენტარიები საბჭოთა კავშირსა და მცირე ანტანტის ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის ირგვლივ.
— კამათი საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში აგრარულ საკითხზე.
— თურქეთში ჩავიდა სპარსეთის შახი.

# ყველა სისტემის საბჭოთა მეურნეობებში პურის აღების შესახებ

## ს.ს.რ. კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

ს. ს. რ. კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სთვლიან, რომ საბჭოთა მეურნეობების მთავარ ამოცანას ამჟამად წარმოადგენს მოსავლის აღება მაქსიმალურად მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ. ს. ს. რ. კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა მეურნეობებს აფრთხილებენ—არ გაიმეორონ მოსავლის აღებაში წარსულ წელს დაშვებული შეცდომები, როცა მოსავლის აღების ყოვლად შეუწყნარებელი გაჭიანურებისა და მუშაობისათვის კომბაინერების მოუმზადებლობის გამო საბჭოთა მეურნეობებში დაკარგულ იქნა მოსავლის საგრძნობი ნაწილი.

ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სრულიად დაუშვებლად და საქმისადმი საზიანოდ სთვლიან იმ შეხედულებებს, რომლებ-...

...ბის, ძრავების, ლოკომობილების და ავტომანქანების რემონტი 5 ივლისისათვის;

ბ) უზრუნველჰყონ ყველა კომბაინი მოწყობილობით კომბაინის ხედერის დახაწევად დაბალი ყანის აღებისას;

გ) დაამთავრონ სეზონურ მუშახელის შეგროვება მოსავლის აღების კამპანიისათვის არა უგვიანეს 26 ივნისისა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ მოსავლის აღებაში ჩააბან საბჭოთა მეურნეობების დამხმარე მეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშათა ოჯახების შრომისუნარიანი წევრები.

4 შუა ვოლგის მხარის, ცენტრალური შავმიწადა-გიანი ოლქის, სარატოვის მხარის, ბაშკირეთის ა. ს. ს. რესპუბლიკის, თათართა ა. ს. ს. რესპუბლიკის და ჩელიაბინსკის ოლქის საბჭოთა მეურნეობებში კომ-...

...ცოცხალი გამწევი ძალა, უზრუნველჰყონ „ლობოგრეიკები" ძნის გადმომყრელებით, ძნისმკონავი მანქანები ისეთი მუშაკებით, რომელთაც აქვთ ამ მანქანაზე მუშაობის გამოცდილება, და სალეწი მანქანები—მემანქანეებით, მედოლეებით, მწონავებით.

3 მიმდინარე წელს პურის აღების ადრე დაწყებასთან დაკავშირებით, ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევენ ყირიმის ავტონომიურ ს. ს. რესპუბლიკის, ჩრდილო-კავკასიის მხარის, აზოვ-შავი ზღვის მხარის, სტალინგრადის მხარის, ოდესის, დნეპროპეტროვსკის, ხარკოვის, დონეცის, კიევის, ვინნიცის და ჩერნიგოვის ოლქების, შუა აზიისა და ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეურნეობების დირექტორებსა და პოლიტგანყოფილებათა უფროსებს:

ა) დაამთავრონ მოსავლის ასაღები ყველა მარტივი მანქანების რემონტი 20 ივნისისათვის, კომბაინების და მათი მოტორების—25 ივნისისათვის, სალეწი მანქანე-...

...კომისარიატს, ტრესტებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს—შეუდგენ პურის გამოტანას და პურის ჩაბარების იმ გეგმის შესრულებას, რომელიც დაწესებულია მთავრობის მიერ, არა უგვიანეს 5—6 დღისა მოსავლის აღების დაწყების შემდეგ, ამასთან მარცვალი გადაზიდულ იქნას ელევატორებსა და პურის ჩაბარებელ პუნქტებზე უშუალოდ მინდვრიდან (ხვავებიდან, გადასატვირთავ პუნქტებიდან), მარცვლის აუცილებელი წინასწარი გაწმენდით.

ს. ს. რ. კ. სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სთვლიან, რომ საბჭოთა მეურნეობების დირექტორებისა და პოლიტგანყოფილებათა უფროსების, საბჭოთა მეურნეობების პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა დანაკარგებთან და პურის დაცვა, როგორც მომკამდე, ისე მოსავლის აღების, გალეწვის და გადაზიდვის დროს, მტაცებლობისა და გაბნევისაგან.

ს.ს.რ.კ-ის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. კუიბიშევი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. სტალინი.

1934 წ. 10 ივნისი, მოსკოვი.

# აბრეშუმის პარკი არა ნაკლებ 2.800 ტონისა

# დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შემდეგ

## საბჭოთა კავშირსა და მცირე ანტანტის ქვეყნებს შორის

გერმანიის გაზეთები ცდილობენ შეამცირონ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის ახალი გამარჯვების მნიშვნელობა.

ბერლინი, 10 ივნისი. საბჭოთა კავშირსა და ჩეხია-სლოვაკიას და საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის ირგვლივ პირველ გამოხმაურებაში გაზეთები ცდილობენ შეამცირონ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის ამ ახალი გამარჯვების მნიშვნელობა და აცხადებენ, რომ აქ არაფერია მოულოდნელი. „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგი" და „რეინიშ ვესტფალიშე ცეიტუნგი" ცდილობენ სერიოზული მნიშვნელობა მისცენ იმას, რომ სამხრეთ - სლავიამ ჩეხია-სლოვაკიასთან და რუმინეთთან ერთად არ დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და რომ ამის გამო „არ მოხერხდა მცირე ანტანტის ქვეყნების კოლექტიური დიპლომატიური გამოსვლის გეგმის განხორციელება". ამასთანავე „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგი" აღნიშნავს, რომ სამხრეთ-სლავია აყენებს დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას საბჭოთა კავშირთან „სამხრეთ - სლავიის მეფის რუსეთის ყოფილ სამეფო გვარეულობასთან ნათესაური კავშირის გამო" და სამხრეთ - სლავიაში მცხოვრები თეთრი — ემიგრანტების ზეგავლენის შედეგად. მიუხედავად ამისა, ორივე გაზეთი იძულებულია აღიაროს, რომ ახეთივე აქტი უსათუოდ მოჰყვება უახლოეს დროში სამხრეთ- სლავიის მხრივაც.

„ბერლინერ ბერზენცეიტუნგი" აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირსა და ჩეხია - სლოვაკიას და საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება წარმოადგენს „უეჭველს ხანგრძლივი მოლაპარაკების ერთადერთ შედეგს" და წერს: „კვლავ უფრო და უფრო გარკვევით მჟღავნდება პარიზიდან გამომდინარე ანტიგერმანული პოლიტიკის ქსელი" (ადს).

# „საბჭოთა კავშირის პატივისცემა პატარა ერების უფლებებისადმი წარმოადგენს მის რევოლუციურ დოქტრინას"

პრაგა, 10 ივნისი. ნორმალური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირსა და ჩეხია-სლოვაკიას შორის, აგრეთვე საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის მოქცეულია მთელი პრესის ყურადღების ცენტრში. გაზეთები ამ ფაქტს ერთხულოვნად აფასებენ როგორც მნიშვნელოვან ნაბიჯს ...

...ზობელთან. ახლა, დასავლეთში საფრანგეთის მხარის დაჭერის და აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის მეგობრობის შედეგად, იქმნება ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის სრული საერთაშორისო გარანტიის შესაძლებლობა".

... საბჭოთა კავშირთან ... რედ ახლანდელ მომენტში მშვიდობიანობის უზრუნველყოფისათვის. გაზეთი აღნიშნავს, რომ „საბჭოთა კავშირის პატივისცემა პატარა ერების უფლებებისადმი წარმოადგენს მის რევოლუციურ დოქტრინას". „საბჭოთა იდეოლოგიისათვის, — განაგრძობს გაზეთი, — უცხოა მეფის რუსეთის იმპერიალიზმისა, რომელიც შეუცდომლად პანსლავისტური ტენდენციების გამოცოცხლებას. რუსეთის რევოლუციამ განახორციელა ისეთი რამ, რაც ცარიზმისთვის შეუძლებელი იყო: ბალკანეთის და დუნაის ქვეყნების მცირე ერების მეგობრული თანამშრომლობა დიდ აღმოსავლეთელ მე- ...ეროპაში, მაგრამ ამ ნაბიჯის მნიშვნელობას ამცირებს მხოლოდ ის, რომ იგი გადადებულ იქნა მთელი 10 წლის დაგვიანებით".

დანარჩენი პრესა აღნიშნავს, რომ ჩეხია-სლოვაკიის მოსახლეობის დიდი უმეტესობა გულითადად მიესალმება ნორმალური ურთიერთობის დამყარებას ამ ორ ქვეყანას შორის. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ კრამარჟის პარტიის (ნაციონალ-დემოკრატები) ორგანო „ნაროდნი ლისტი", რომელსაც უარყოფითი პოზიცია უჭირავს საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის დამყარების საქმეში. (ადს).

# ევროპის მშვიდობიანობის შენობა კიდევ უფრო გამაგრდა

ვარშავა, [illegible] ივნისი. „გაზეტა პოლსკა" აცხადებს, რომ პოლონეთი მუდამ ხელს უწყობდა ნორმალური ურთიერთობის დამყარებას საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის, რათა ამით უზრუნველეყო მშვიდობიანობა ევროპის ამ ნაწილში, რომელიც მდებარეობს ბალტიის და შავ ზღვებს შორის. გაზეთის სიტყვით, ნორმალური ურთიერთობის დამყარებას საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის უნდა მიეცეს დიდი მნიშვნელობა როგორც პოლიტიკის, ისე საერთაშორისო თვალსაზრისით. ნორმალური ურთიერთობის აღდგენას საბ-...ჭოთა კავშირსა და ჩეხია-სლოვაკიას შორის და სამხრეთ სლავიასთან ურთიერთობის მომავალ განაახლებას, — წერს გაზეთი, — უდიდესი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა სოციალ-ეკონომიური სისტემების თანაარსებობის პრინციპის გამარჯვების თვალსაზრისით". ევროპის მშვიდობიანობის ...

# ლაპარაკობენ საბჭ. კავშ. გმირი მფრინავები

მოსკოვი, 11 ივნისი. (საკ. კორესპ.) დღევანდელი „პრავდა" ათავსებს მფრინავების — საბჭოთა კავშირის გმირების — მთელ რიგ წერილებს ჩელუსკინელთა გადარჩენის შესახებ. მფრინავი ლევანევსკი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ გაფრინდა იგი 28 მარტს ნომიდან უელენში და როგორ განიცადა ავარია მისმა თვითმფრინავმა.

ამხ. ლევანევსკი წერს: გამოჩნდა საზღვრის უკიდურესი ჩრდილოეთ აღმოსავლეთი პუნქტი — დეჟნევის კონცხი (გამოტოვებულია). არავითარი სიგნალი არა ჩანს. როგორც ჩანს ვანკარემისაკენ მიმავალ ...

...რის თოვლის გუნდებმა. სიმაღლე 1.500 მეტრი, უშაკოვი მაძლევს წერილს, იგი მაცნობებს, რომ თვითმფრინავი ძალიან ჩქარა აფარება ყინულით. უნდა გავიაროთ 2.500 მეტრის მანძილი. უცბად წყდება მოტორის რუპორი. თვითმფრინავი შეტორტმანდა. ვგრძნობ, როგორ მიექანება კვლავ ზღვისკენ. ვცდილობ წავიყვანო მანქანა ზღვაში ჩრდილოეთისაკენ. ძირს მთები და კლდეებია, რომელთა სიმაღლე ათას მეტრს აღწევს. მაგრამ მობრუნების მაჩვენებელმა და სისწრაფის მაჩვენებელმა შეწყვიტეს მუშაობა. მანქანა სულ უფრო და უფრო მძიმდება. თვითმფრინავის ქვეშ უკვე გამოჩნდა ყინულის ნატეხები. ხანძრის ...ნავე ვუთხარი კრენკელს: „მოშინჯე მაგარი მიწა" „როგორც იყო მოვაღწიეთ, — ამბობს კრენკელი, — რამდენი თვეა, რაც მე მიწა არ მინახავს. ვილაცამ შენიშნა, რომ ეს ჯერ კიდევ მხოლოდ აეროდრომია, გაკეთებული ნაპირის მახლობლად, ყინულზე. მიწა აქედან 100 მეტრის მანძილზეა.

„როგორ? — იცინის კრენკელი, — თურმე კიდევ ზღვაში ვარ, მაშ მივაშურებ მიწას".

იმავე დღეს მე და მოლოკოვი გავფრინდით უელენში და თან წავიყვანეთ ვორონინი და ივანოვი.

უელენში ჩვენ დაგვხვდა მთელი მოსახლეობა.

# ამხ. შმიდტის დეპეშა უკრაინის სამეცნიერო აკადემიას

კიევი, 10 ივნისი. უკრაინის სამეცნიერო აკადემიამ ამხ. ო. ი. შმიდტისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„გმადლობთ დიდი პატივისათვის, რომელიც დამდეთ აკადემიის წევრად არჩევით".

აკადემიკოს გროვეს სახელზე გაგზავნილ დეპეშაში ამხ. შმიდტი წერს:

„მთელი სულით და გულით მადლობას ვუცხადებ ჩემს ძვირფას მასწავლებელს გულთბილი მისალმებისათვის. მოხარული ვიქნები მივიღო მონაწილეობა სრულიად უკრაინის სამეცნიერო აკადემიის მუშაობაში". (ადს).

# „კარგად დავთესეთ—უფრო უკეთ ავიღებთ"

## „პრავდა" საგაზაფხულო თესვის მიმდინარეობის შესახებ საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 10 ივნისი. „პრავდა" დღეს თავის ერთ გვერდზე იძლევა ... მოსავლისათვის, შეძლებული ცხოვრებისათვის.

# სად არის ტელმანი?

ლონდონი, 9 ივნისი. („პრავდას" საკ. კორ.). „დეილი უორკერი" მოუწოდებს მუშებს არ დაუჯერონ ტენდენციურ, ხმებს, რომ ტელმანი საჯაროდ იქნება გასამართლებული და რომ მას მიეცემა გერმანიიდან გასვლის საშუალება.

ტელმანს სურთ დააკისრონ პირადი პასუხისმგებლობა ყველა იმ შეიარაღებული შეტაკებისათვის, რომლებსაც ადგილი ჰქონდა გერმანიაში კომუნისტებსა და ფაშისტებს შორის. განზრახული მისი გასამართლება სასტიკად და საიდუმლოდ. არის იმის საშიშროება, რომ ფაშისტებს შეუძლიათ ანგარიში გაუსწორონ გასამართლებამდე და გაიმართლონ თავი იმით, რომ იგი „ცდილობდა გაქცევას".

ამჟამად გამოირკვა, რომ ტელმანი არ იმ ყოფება მოაბიტის საპატიმროში და ეს დიდ შეშფოთებას იწვევს. „დეილი უორკერი" დაასკვნის: „საჭიროა საერთაშორისო კამპანიის გაძლიერება ტელმანის განთავისუფლებისათვის უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე. განსაკუთრებით საჭიროა დამცველების შოვნა და ტელმანის ნახვის მიღწევა".

# წერილი-პროტესტი ჰიტლერს

პარიზი, 10 ივნისი. „ლუმანიტემ" გამოაქვეყნა წერილი, რომელიც გაუგზავნა ჰიტლერს გერმანიაში მძვინვარე ფაშისტური ტერორის გამომკვლევი კომიტეტის თავმჯდომარემ — ცნობილმა ჟურნალისტმა ქალმა ანდრე ვიოლისმა.

გერმანიაში მძვინვარე ფაშისტური ტერორის გამომკვლევი კომიტეტის, იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის და საფრანგეთის მშრომელი ინტელიგენციის მრავალი წარმომადგენლის სახელით ვიოლისი ენერგიულ პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ პრუსიის ლანდტაგის ყოფილ კომდეპუტატს [illegible] და 15 ბერლინელ მუშას აბრალებენ პოლიციის ორი ოფიცრის მოკვლას და მკვლელობაში თანამონაწილეობას, ვიოლისი აღნიშნავს, რომ კომიტეტის მიერ დაკითხულმა რამდენიმე მოწმემ ფიცის ქვეშ განაცხადა, რომ არცერთი ბრალდებულთაგანი არ ღებულობდა მონაწილეობას მკვლელობაში. ვიოლისი მიუთითებს, რომ მკვლელობაში ბრალის დადება ისეთი ადამიანებისათვის, რომლებსაც მასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ, წარმოადგენს უმაღლესი აქტს. „ჩვენ იძულებული ვართ, — წერს იგი, — შევაფასოთ ეს პროცესი როგორც მანევრი, რომელიც უნდა გადაიქცეს ტელმანისათვის განაჩენის გამოტანის თეორიულ და პრაქტიკულ ბაზად".

დასასრულ ვიოლისი მოითხოვს ბრალდებულთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. (ადს).

# კამათი დეპ. პალატაში აგრარულ საკითხზე

პარიზი, 9 ივნისი. დეპუტატთა პალატაში დამთავრდა კამათი აგრარულ საკითხზე. ყველა ორატორი აღნიშნავდა საფრანგეთის სოფლის მეურნეობის განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობას, რაც გამოწვეულია აგრარული კრიზისით, მოხმარების შემცირებით და ფასების დაცემით, რომელიც ვრცელდება მთავრობის ყოველგვარ ღონისძიებათა მიუხედავად. კომდეპუტატმა რენო ჟანმა აღნიშნა, რომ ყველა ღონისძიებანი უგულებელყოფენ შრომელ გლეხთა ფართო ფენების ინტერესებს, რომლებიც დღითი-დღე ღატაკდებიან. მან მოითხოვა სპეციალური დახმარების მიცემა აგრარული კრიზისისაგან დაზარალებულ, ყველაზე უფრო გაჭირვებულ გლეხებისათვის, ვალების მორატორიუმის გამოცხადება და ვალებისა და გადასახადების გადაუხდელობისათვის გლეხთა ქონების გაყიდვის აკრძალვა.

პალატამ 430 ხმის უმრავლესობით 125 წინააღმდეგ ნდობა გამოუცხადა მთავრობას, მოიწონა მისი წინადადებანი მარცვლეულზე მტკიცე მინიმალური ფასების შენარჩუნების, პურის ფასების მარცვლეულის ფასებთან შეთანაწორების, პურის ჰარში ბაწილის გასაღების მოწესრიგების, ახალი მოსავლის დაფინანსებისათვის ახალი სესხის გამოშვების, ბაღების შემოღების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემოზიდვის კონტინგენტირების შესახებ. (ადს).

# სპარსეთის შახი ჩავიდა თურქეთში

ანკარა, 10 ივნისი, ანატოლიის სააგენტო იუწყება: „სპარსეთის შაჰი, რომელიც ბურჯუ ბულაკის სასაზღვრო პუნქტზე ჩამოვიდა თურქეთში, [illegible] პრეზიდენტთან სადარბაზოდ, შეხვდა [illegible] ქეთის სპეციალური მისია და საპატიო ყარაული 21 საზალუტო გასროლით.

სპარსეთის შაჰი ავტომობილით გაემგზავრა ტრაპიზონდში, საიდანაც კრეისერ „იავუზით" წავა სტამბოლში (ადს).

# მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადით დაბეგვრის განაკვეთების შეცვლის შესახებ

## ს.ს.რ.კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის და სახკომსაბჭოს დადგენილება

ს.ს.რ.კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დაწესდეს მუშებისა და მოსამსახურეებისათვის შემდეგი დამატებითი შეღავათები საშემოსავლო გადასახადსა და გამოსაღებზე საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის:

1. გადიდდეს მუშათა და მოსამსახურეთა შრომის ხელფასის მინიმუმი, რომელიც არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით და გამოსაღებით საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის:

პირველი ზოლის ადგილებში 100 მან. 115 მანეთამდე.
მეორე ზოლის ადგილებში 90 მან. 105 მანეთამდე.
მესამე ზოლის ადგილებში 80 მან. 95 მანეთამდე.
მეოთხე ზოლის ადგილებში 75 მან. 90 მანეთამდე.

2. შემცირდეს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დაწესებული გამოსაღების განაკვეთები იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებიც ღებულობენ შრომის ხელფასს 160 მანეთამდე და დაწესდეს ისინი შემდეგი ოდენობით:

| თვიური ხელფასის ოდენობა მანეთებში | გამოსაღების ოდენობა ხელფასის მიმართ |
| --- | --- |
| 110 მანეთამდე | 0,75 პროც. |
| 110 მან. ზევით 140 მანეთამდე | 1,25 პროც. |
| 140 მან. ზევით 150 მანეთამდე | 1,75 პროც. |
| 160 მან. ზევით 200 მანეთამდე დ. რიც წინანდელი | 2,00 პროც. |

... ნოებში და სხვ.).

4. იმ მინიმუმის ახალი ოდენობა, რომელიც არ იბეგრება, და ახალი განაკვეთები შემოღებულ იქნას იმ დროიდან, როცა გადახდილი იქნება საშემოსავლო გადასახადი და გამოსაღები საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის ივნისის თვის ხელფასის მიხედვით.

ს.ს.რ.კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი.

ს.ს.რ.კ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. კუიბიშევი.

ს.ს.რ.კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალეობის აღმასრულებელი ა. მედვედევი

მოსკოვი, კრემლი.
11 ივნისი 1934 წ.

# თათბირი ციტრუსების განვითარების შესახებ

## (საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ბათომი, 11 ივნისი. ბათომში შესდგა აჭარისტანის სუბტროპიკული რაიონების სპეციალისტების და ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირი ... კლოვანებანი და მიღწევები ამ მიმართულებით.

ზოგიერთი ჩვენი მუშაკი ციტრუსიარებისა და ...

ნ. დუმბაძე

## პარტიულ თემაზე

# ყრილობების გადაწყვეტილებათა პროპაგანდა სუსტად არის დაყენებული

(ორჯონიკიძის რაიონის პლენუმი)

[illegible]

დღიდან ამ უკანასკნელ ხანებში თავი იჩინა ორჯონიკიძის რაიონის პარტგანათლების ქსელში. მაგალითად, მარტო ერთ თვეში პროპაგანდისტთა დენადობა 70 პროცენტს აღწევს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი. კამათში მონა- [illegible] ლე რეზოლუცია, პრაქტიკული ღონისძიებებით, მათი გატარება ცხოვრებაში უზრუნველყოფს ყველა იმ დეფექტის აღმოფხვრას, რომელიც გამომჟღავნებული იქნა პლენუმზე და რომელიც აფერხებს პარტგანათლების ქსელის ნორმალურ მუშაობას.

## მოსავლის აღება

# სალეწი პუნქტები მოვამზადოთ დროზე და გეგმიანად

(ჩვენი კავკასიური კორესპონდენციიდან)

[illegible]

პირველ რიგში დირექციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სალეწი მანქანებისა და ტრაქტორებისათვის საწვავი მასალის მომარაგებას. იმ ადგილების წინასწარ გასუფთავება - გაწმენდას, სადაც სალეწი პუნქტები იქნება; მემანქანეებისა და ძნის მიმწოდებლების სწორად განაწილებას, საველე სარემონტო სახელოსნოების მოწყობას სალეწი პუნქტებისათვის მომსახურეობის გასაწევად და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციას პუნქტებში.

საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ სალეწმა პუნქტებმა შეუფერხებლად იმუშაონ დღე-ღამის განმავლობაში და ლეწვის დროს მთლიანად მოსპონ დანაკარგები.

**ვ. მთვრალაშვილი.**

# ემზადებიან მოსავლის აღებისათვის

[illegible]

წმონ თუ რამდენად არიან მზად მოსავლის აღებისათვის ცალკე ბრიგადები, ჯგუფები და ერთპიროვნული მეურნეობები; უზრუნველყონ მუშახელის და ინვენტარის სწორად განაწილება. შეიმუშაონ ცალკე კულტურების აღებისა და გალეწვის ვადები, შეაკეთონ გზები და ბოგირები. თვითეულ ბრიგადას, თვითეულ ჯგუფს მისცენ სამუშაოთა კონკრეტული გეგმები და უზრუნველყონ მოსავლის ვადაზე და უდანაკარგოდ აღება.

ამ საქმეში ხელმძღვანელობისა და დახმარებისათვის სოფლებსა და კოლმეურნეობებზე პლენუმმა მიამაგრა პასუხისმგებელი მუშაკები.

**ს. ციაშვილი.**

# თივის აღებას ამთავრებენ

[illegible]

თივის აღება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს და უახლოეს დღეებში დამთავრდება.

**ყარაიაში** იონჯის აიღებას უახლოეს დღეებში დაამთავრებენ. კოლმეურნეობებს იონჯა უკვე აღებული აქვთ 304 ჰექტარზე (გეგმის 92,7 პროც.), ერთპიროვნულ მეურნეობებს შესრულებული აქვთ თივის აღების გეგმის 95,5 პროც. (ადს).

## საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტიული კონტროლის კომისიაში

# საწვავი მასალის გადახარჯვის შესახებ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში

პარტიული კონტროლის კომისიამ შეამოწმა, თუ როგორ სრულდება ც. კ-ის 1933 წლის 20 დეკემბრის დადგენილება საწვავი მასალის მომარაგების, შენახვის და გამოყენების შესახებ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში. შემოწმებამ გამოააშკარავა საწვავი მასალის უყაირათო ხარჯვის მრავალი ფაქტი.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელი დარღვევები გამოაშკარავდა ოდესის ოლქის მთელ რიგ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში და, კერძოდ, ბრატსკის სამ.-სატრ. სადგურში, რომელმაც თავის პერიოდში გადახარჯა 18 ტონაზე მეტი საწვავი მასალა. ბრატსკის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორის მოვალეობის აღმასრულებელმა ამხ. დობროლეჟამ და პოლიტგანყოფილების უფროსმა კალიბორჩუკმა უხეშად დაამახინჯეს ც. კ-ის მითითებანი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საწვავი მასალის საწყობის სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ორგანიზაციად გადაქცევის შესახებ, რომელიც საწვავ მასალას გასცემს „მხოლოდ დაწესებული ნორმების და ტრაქტორების მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის ფარგლებში“. ამის მაგივრად ბრატსკის სამანქანო-სატრაქტორო სადგურმა დააწესა ბრიგადების უკონტროლო და ულიმიტო მომარაგება უშუალოდ „სოიუზნეფტეტორგის“ საწყობიდან. საწვავი მასალის გაცემა ხდებოდა არა ჩეკებით (ტალონებით), არამედ ტრაქტორისტის პირველი მიმართვისთანავე, რაც იწვევდა მტაცებლობას და უპასუხისმგებლობას, მით უფრო, რომ გადახარჯვისათვის ჯარიმას არ ადებდნენ.

„სოიუზნეფტეტორგის“ ლიუდმილოვის საწყობის გამგემ, რომელიც ბრატსკის სამანქანო-სატრაქტორო სადგურს ამარაგებდა, გვერდი აუარა სამანქანო-სატრაქტორო სადგურის საწყობს და უკანონოდ მისცა საწვავი მასალა უშუალოდ ტრაქტორისტებს, ც. ი. ბრიგადების მიერ შესრულებულ სამუშაოთა აღურიცხველად. მან ლიმიტის ზევით თვითნებურად მისცა მომხმარებლებს 6-ნახევარი ტონა ნავთი, 600 კილოგრამი ბენზინი, 600 კილოგრამი ავტოლი და 200 კილოგრამი ლიგროინი. ეს დამახინჯებანი „სოიუზნეფტეტორგის“ საწყობის მუშაობაში, თავის მხრივ ხელს უწყობდენ საწვავი მასალის განიავებას სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში.

რაიონულ სამიწათმოქმედო განყოფილებას და ოდესის საოლქო სამიწათმოქმედო სამმართველოს არავითარი ზომა არ მიუღიათ ამ დამახინჯებათა ლიკვიდაციისათვის და საერთოდ ხელი შეუშვეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში საწვავი მასალის ხარჯვის კონტროლს. ოდესის ოლქში სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საწვავი მასალის საწყობთა 188 გამგიდან საოლქო სამიწათმოქმედო სამმართველოს მიერ დამტკიცებულია მხოლოდ 78.

პარტიული კონტროლის კომისიამ დაადგინა მოხსნას სამუშაოდან და სასამართლო პასუხისგებაში მისცეს საწვავი მასალის განიავებისათვის ბრატსკის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორის მოვალეობის აღმასრულებელი ამხ. დობროლეჟო, სამ.-სატრ. სადგურის საწვავი მასალის საწყობის გამგე ამხ. ბუბლიკი და „სოიუზნეფტეტორგის“ ლიუდმილოვის საწყობის გამგე ამხ. რუდენკო.

სასტიკი საყვედური გამოეცხადა ბრატსკის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსს ამხ. კალიბორჩუკს ც. კ-ის 1933 წლის 20 დეკემბრის დადგენილების უგულებელყოფისათვის და ოდესის საოლქო სამიწათმოქმედო სამმართველოს გამგეს ამხ. იუტინს სამიწათმოქმედო ორგანოების უმოქმედობისათვის სამანქანო-სატრაქტორო სადგურში საწვავი მასალის ხარჯვაზე კონტროლის გაწევის საქმეში.

პარტიული კონტროლის კომისიამ წინადადება მისცა ს. ს. რ. კ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარს ამხ. ჩერნოვს გააფრთხილოს ყველა საოლქო და სამხარეო სამიწათმოქმედო სამმართველო და რესპუბლიკათა მიწსახკომები, რომ მათ ეკისრებათ უშუალო პასუხისმგებლობა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მიერ საწვავი მასალის ხარჯვის შესახებ არსებული დადგენილების შესრულებისათვის. პარტიული კონტროლის კომისიის ყველა რწმუნებულს წინადადება მიეცა შეამოწმონ, თუ როგორ სრულდება ც. კ-ის დადგენილება საწვავი მასალის ხარჯვის შესახებ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რომელთაც კი აქვთ საწვავი მასალის საგრძნობი გადახარჯვა, და საწვავი მასალის განიავებაში დამნაშავენი მისცენ პარტიულ და სასამართლო პასუხისგებაში.

„სოიუზნეფტეტორგს“ (ამხ. ეფუნის) წინადადება მიეცა შეამოწმოს ნავთის საწყობებიდან საწვავი მასალის გაცემის სისტემა და კატეგორიულად აკრძალოს მისი ლიმიტის ზევით გაცემა, თუ ამაზე თვითეულჯერ არ იქნება საოლქო (სამხარეო) ორგანოების განსაკუთრებული ნებართვა. (ადს).

# სამხრეთ-ოსეთს — კარგი გზები

რომანოვების მეფობის და მენშევიკური ბატონობის დროს სამხრეთ - ოსეთი წარმოადგენდა წერა-კითხვის უცოდინარობის, უკულტურობის და მთლიანი უგზოობის რაიონს. ამგვარად ათასწლოვან კლდეებს; რომლებმაც მთელს სამხრეთ-ოსეთში შექმნეს გაუვალი ხეობები, არ მიკარებია ადამიანის ხელი.

ამ მთების გაჭრა, უკულტურობის და უგზოობის მოსპობა, — ეს ისეთი საქმე იყო, რომლის გაკეთება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო. და თუ წინათ სამხრეთ ოსეთში ჩვენ არ გვქონდა არც ერთი მეტრი რიგიანი გზა, ახლა მათი სიგრძე ასობით კილომეტრს უდრის. გასული 10 წლის განმავლობაში სამხრეთ - ოსეთმა საგზაო მშენებლობისათვის მიიღო 2.500.000 მანეთი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ურემსო გზებით ოლქის უზრუნველყოფისათვის. განსაკუთრებით საჭიროა აღინიშნოს სამხრეთ - ოსეთის მშრომელთა მონაწილეობა საგზაო მშენებლობაში. მარტო 1933 წლის განმავლობაში, თუ მტკიცე სახელმწიფო ფასებში ვიანგარიშებთ, ოლქის საგზაო მშენებლობაში, მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით დაბანდებულია 1.500.000 მანეთზე მეტი. თუ რამდენად დაინტერესებულია სამხრეთ-ოსეთის გლეხი საგზაო მშენებლობით, მოწმობს ის ფაქტი, რომ ოლქის ზოგიერთ რაიონში ყოველდღიურად შენდება 1 კილომეტრზე მეტი ახალი გზა, მიუხედავად დაკლაკნილი რელიეფისა.

მეორე ფაქტი: სამხრეთ - ოსეთის ლენინგორის რაიონში, წელს რაღაც 90 დღის განმავლობაში მდინარე ქსანზე აგებულია მუდმივ საყრდენებზე ხიდი, რომლის სიგრძე 240 მეტრს უდრის. ამ მდინარეში ყოველ წელს რამდენიმე კაცი იხრჩობოდა. ბოლშევიკების და სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა მტკიცე ნებისყოფით ამ მდინარის ხახა დუღაბით ამოივსო.

ეს ხიდი აგებულია მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით, მაგრამ მიღწეულ წარმატებებით დაკმაყოფილება დანაშაული იქნებოდა. უგზოობა ძირითადად ჯერ კიდევ წარმოადგენს ჩვენი ოლქის სამეურნეო და კულტურული ძლიერების განვითარების ხელშემშლელ ფაქტორს. წელს ყოველ მიზეზს გარეშე უნდა შევასრულოთ საგზაო მშენებლობის მილიონიანი გეგმა. საგზაო მშენებლობის მიმდინარეობა მოწმობს, რომ, თუ ჩვენ არ გარდავქმნით ჩვენს მუშაობას, საგზაო მშენებლობა შეიძლება ჩაიშალოს. ახლა უკვე ცნობილია, რომ გეგმა სავსებით დამაკმაყოფილებლად როდი სრულდება. ეს აიხსნება ოლქის საგზაო აპარატის არა საკმაოდ მოქნილი მუშაობით. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევძელით საგზაო მშენებლობის ტექნიკის დაუფლება, ჯერ კიდევ ვერ მივეჩვიეთ სტალინურად მუშაობას. მეორე მხრით ჩვენ სრულიად არასაკმაო ყურადღებით გვეკიდებიან ხელმძღვანელი საგზაო ორგანიზაციები, რომლებიც არ გვიწევენ საჭირო დახმარებას. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ სამხრეთ - ოსეთის გზატრანს დღემდე არ მოეპოება არც ერთი სატვირთო მანქანა, არც ერთი სატკეპნი [illegible] ნა. მექანიკურ მოწყობილობებზე, ხომ ოლქის საგზაო ორგანიზაციებს, წარმოდგენაც არა აქვთ. ოლქი მთელი რიგი წლების განმავლობაში მოკლებულია ელემენტარულ მექანიკურ მოწყობილობებს და ეს იმ დროს, როცა არსებობს მთავრობის მთელი რიგი დადგენილება, სამხრეთ-ოსეთისათვის საგზაო მექანიზმების მიწოდების შესახებ. სამხრეთ-ოსეთში ჩვენ დღემდე არა გვაქვს არც ერთი მეტრი მოკენჭილი გზა ტკეპნილი, რაც სამწუხარო ფაქტად უნდა ჩაითვალოს. გასულ 1933 წელს იმის გამო, რომ საგზაო მშენებლობის გეგმა 220 პროც. შევასრულეთ, უგზოობასთან მებრძოლმა ცენტრალურმა შტაბმა ჩვენ დაგვაჯილდოვა სატკეპნი მანქანით. თუმცა ეს მანქანა ჩვენ უკვე მივიღეთ, მაგრამ სრულიად უვარგისი; მოტორით; სამჯერ გავგზავნეთ ეს მოტორი შესაკეთებლად საქგზატრანსის მექანიკურ სახელოსნოში, მაგრამ, ყოველთვის უკან გვიბრუნებდენ მუშაობისათვის აშკარად უვარგის მოტორს. ამგვარად, საქგზატრანსის მექანიკურ ბაზაში მოკალათებულ ზოგიერთ მუშაკის მეოხებით, ჩვენ მთელი წლინახევრის განმავლობაში ვერ შევძელით ვერც ერთი მეტრი გზის დატკეპნა. ეს უმსგავსობა იმდენად დიდია, რომ არ შეიძლება მას გვერდი ავუაროთ.*).

რამდენიმე სიტყვა მომარაგების შესახებ. ცნობილია, რომ სათანადო მომარაგების უქონლობა დიდ ზიანს აყენებს საგზაო მშენებლობის გეგმის შესრულებას. საქგზატრანსის მუშათა დახურული კოოპერატივი, რომელსაც დავალებული აქვს საგზაო მშენებლობის მომარაგება ფართო მოხმარების საქონლით, არავითარ ყურადღებას არ გვაქცევს. მომარაგება — საგზაო მშენებლობის ერთერთი ვიწრო ადგილია, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.

ის უმაგალითო გმირობა, რომელსაც წლითი - წლობით სულ უფრო და უფრო იჩენენ სამხრეთ - ოსეთის მშრომელები, წარმოადგენს იმის საიმედო გარანტიას, რომ ჩვენ შევასრულებთ ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანებს.

დარწმუნებული ვართ, რომ შეერთებული ძალღონით რესპუბლიკური და საოლქო, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით უახლოესი 2—3 წლის განმავლობაში შევძლებთ ძირითადად აღმოვფხვრათ უგზოობა სამხრეთ - ოსეთის მთიან ნაწილში.

გადავაქციოთ სამხრეთ – ოსეთი პირველხარისხოვანი გზების ოლქად.

პირით საგზაო მშენებლობისაკენ სამხრეთ - ოსეთში!

**ი. ჩიაევი.**

(სამხრეთ - ოსეთის გზატრანსის უფროსი).

*) ჩვენს მიერ „საქ. გზატრანსიდან“ მიღებული ოფიციალური ცნობის თანახმად სამხრეთ - ოსეთის გზატრანსს ამ წლის 27 მაისს გრეგზავნა ქუთაისიდან „ინტერის“ სისტემის გზის სატკეპნი მანქანა, რომელსაც ამ დღეებში მიიღებენ ადგილზე.

**რედაქცია.**

## „კომსომოლსკაია პრავდას“ მიმოხილვა

# საბჭოთა ფლორიდისათვის

„კომსომოლსკაია პრავდა“ 8 ივნისის ნომერში დიდ ადგილს უთმობს ამიერ-კავკასიის კომკავშირის შეფობას სუბტროპიკულ კულტურებზე. კომკავშირის ბრძოლას ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფლორიდისათვის მიძღვნილი აქვს ნომრის მოწინავე წერილი.

„კომკავშირის შეფობა სუბტროპიკულ კულტურებზე თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ სახელმწიფო მშენებლობაში კომკავშირის მონაწილეობის საუკეთესო ნიმუშებს“, — ნათქვამია მოწინავეში.

მოწინავე აღნიშნავს აფხაზეთის, აჭარისტანის და აზერბეიჯანის კომკავშირის თვალსაჩინო მიღწევებს ამიერ-კავკასიის „საბჭოთა ფლორიდად“ გადაქცევის საქმეში და გაზეთ „მოლოდოი რაბოჩის“ განსაკუთრებით დიდ როლს ამ მუშაობაში.

„მოლოდოი რაბოჩის“ ინიციატივით 1933 წლის თებერვალში დაიწყო აფხაზეთის კომკავშირის ლაშქრობა „საბჭოთა ფლორიდისათვის“. „მოლოდოი რაბოჩიმ“, აფხაზეთსა და აზერბეიჯანს შორის დაწყებული შეჯიბრების არბიტრმა, გამოიჩინა თავი როგორც საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე და კოლმეურნე ახალგაზრდობის საუკეთესო ორგანიზატორმა სუბტროპიკული კულტურების გაშენების საქმეში მთელი 1933 წლის მანძილზე“.

ეხება რა იმ ანგარიშს, რომელიც აფხაზეთის კომკავშირელებმა წარუდგინეს ს. ს. რ. კ. მიწსახკომს და სუბტროპიკების მთავარ სამმართველოს, „კომსომოლსკაია პრავდა“ წერს:

„კომკავშირის ანგარიშის განაღდება მიწსახკომის მიერ ყველა შესაძლებლობას ქმნის იმისათვის, რომ შეფობა სუბტროპიკულ კულტურებზე, დაწყებული 1933 წელს, უფრო ფართოდ და ნაყოფიერად გაიშალოს ამჟამად.

საქართველოს, აფხაზეთის, აჭარისტანის, აზერბეიჯანის კომკავშირელებმა უფრო მეტად უნდა გააღრმავონ ბუნების შესწავლა თავის რაიონებში, რათა სავსებით გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა სუბტროპიკული ზონის გაფართოებისათვის“.

ამიერ-კავკასიის კომკავშირი, რომელმაც მთავრობის ორგანოების წინაშე დასვა საკითხი საკოლმეურნეო სუბტროპიკული სანერგეების მოწყობის შესახებ, უნდა გახდეს ამ სანერგეების პრაქტიკული ორგანიზატორი მასობრივი მასშტაბით“.

„კომკავშირის მიერ მიწსახკომისთვის წარდგენილი ანგარიში ამავე დროს წარმოადგენს თვით ამიერ-კავკასიის კომკავშირის მიერ სუბტროპიკების ათვისების სამუშაო პროგრამას“.

გადაუდებელია აგრეთვე ისეთი პრაქტიკული ამოცანა, როგორიცაა ჩაის პლანტაციების გამრეცხლის ორგანიზაცია“.

„კომკავშირელები, რომელნიც მუშაობენ სახალხო კომისარიატებსა და დაწესებულებებში, რომლებზედაც დამოკიდებულია მიწსახკომის გადაწყვეტილებათა უშუალო განხორციელება, მოვალენი არიან ფხიზელი კონტროლი გაუწიონ ამ გადაწყვეტილებათა შესრულებას“.

„სუბტროპიკულ კულტურებზე ამიერ-კავკასიის კომკავშირის ბრწყინვალე შეფობის გამოცდილება გულდასმით უნდა შეისწავლონ ჩვენი საბჭოთა კავშირის იმ რაიონების კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომელთაც ყველა შესაძლებლობა მოეპოებათ, რათა აითვისონ სუბტროპიკული კულტურები თავის ტერიტორიაზე. საქმე ეხება, პირველ ყოვლისა, შუა აზიის კომკავშირს“.

„კომსომოლსკაია პრავდა“ ამიერ-კავკასიის და შუა აზიის კომკავშირელებს მიმართავს წინადადებით მოაწყონ ამ ორი მხარის კომკავშირელთა შეჯიბრება საბჭოთა სუბტროპიკების განვითარების საქმეში“.

ამიერ-კავკასიის კომკავშირის ბრძოლას საბჭოთა ფლორიდისათვის მიძღვნილი აქვს სუბტროპიკული კულტურების მთავარ სამმართველოს უფროსის ამხ. ლეჟავას სტატია, რომელშიაც იგი წერს:

„რა ჩინებული შეხამებაა! ჩვენი ახალგაზრდა, ძალიან ახალგაზრდა სუბტროპიკული მეურნეობა მისი ძვირფასი ტექნიკური და ნაყოფიანი კულტურებით და ყოველივე ამის შეფი კომკავშირი მისი ენტუზიაზმით, ლენინურ-სტალინური დისციპლინით და შეუპოვრობით“.

„ყოველნაირად მოწონების ღირსია „კომსომოლსკაია პრავდას“ წინადადება შუა აზიასა და ამიერ-კავკასიას შორის კომკავშირული შეჯიბრების მოწყობის შესახებ. ამიერ-კავკასიის კომკავშირისაგან ჩვენ მოველით მხარის დაჭერას ამ საქმეში. შევქმნით სუბტროპიკებისათვის ბრძოლის ერთიანი ფრონტი“.

აქვე მოთავსებულია ქრონიკა ამიერ-კავკასიის კომკავშირის მიერ სუბტროპიკების ათვისების შესახებ. ქრონიკაში ჩამოთვლილია ყველა უმნიშვნელოვანესი ეტაპი კომკავშირის მუშაობისა ამიერ-კავკასიის გადაქცევისათვის „საბჭოთა ფლორიდად“. (ადს)

# კრებული საბჭოთა კავშირის ტენიანი სუბტროპიკების შესახებ

**მოსკოვი,** 10 ივნისი. „პრავდა“ წერს: „მომავალი წლის დამდეგს უნდა გამოვიდეს საბჭოთა კავშირის ტენიანი სუბტროპიკებისადმი მიძღვნილი დიდი კრებული. კრებულის ორგანიზაცია, რომელიც დაახლოებით 100 ნაბეჭდ ფურცლისაგან შესდგება, დავალებული აქვს საკავშირო სამეცნიერო აკადემიის ბოტანიკურ ინსტიტუტს და ლენინის სახელობის საკავშირო სასოფ.-სამეურნეო აკადემიასთან არსებულ მემცენარეობის ინსტიტუტს.

პირველ ტომში მოცემული იქნება საერთო ხასიათის ცნობები საბჭოთა სუბტროპიკული მეურნეობის ბუნებრივი პირობების, მცენარეულობის რესურსების, მისი [illegible]პექტივების და სუბტროპიკულ კულტურათა უმთავრესი ტიპების დარაიონების შესახებ. მეორე ტომი მიძღვნილი იქნება მრავალრიცხოვანი სპეციალური კულტურებისა და მათი განვითარების პერსპექტივებისადმი.

კრებულში მონაწილეობას ღებულობენ სუბტროპიკების გამოჩენილი მცოდნეები. სარედაქციო კოლეგიაში შევიდნენ აკადემიკოსები ვავილოვი, კელერი, რიხტერი, სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ა. მ. ლეჟავა და სხვ. კრებული, რომელშიაც გაშუქებული იქნება ჩვენი სუბტროპიკების შესწავლის მდიდარი გამოცდილება, წარმოადგენს პირველ კაპიტალურ შრომას ამ დარგში. (ადს)

# ახალი ეტაპი მანჯურიის პარტიზანულ მოძრაობაში

უკვე 11 თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ტუნგუშ ნანკინის მთავრობასა და იაპონიას შორის დადებულ იქნა დროებითი ზავი, რამაც საშუალება მისცა ნანკინის მთავრობას უზრუნველეყო მეექვსე კონტრრევოლუციური ლაშქრობის ჩატარება ჩინეთის წითელი არმიის წინააღმდეგ, აგრეთვე საშუალება მისცა იაპონიის იმპერიალიზმს მოეხდინა მთელი ძალების კონცენტრაცია მანჯურიის პარტიზანული მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

პარტიზანულ მოძრაობასთან ბრძოლის მიზნით იაპონიის სამხედრო სარდლობამ ჩაატარა სამხედრო კონფერენცია და „წესრიგის დაცვის“ კონფერენცია, რომლებზედაც სპეციალურად განხილულ იქნა პარტიზანთა რაზმების წინააღმდეგ საომარი, მოქმედების და პოლიტიკური ღონისძიებების გეგმა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე გასული წლის ზაფხულში და შემოდგომაზე იაპონელმა იმპერიალისტებმა მოაწყეს მთელი რიგი დამსჯელი ექსპედიციები პარტიზანების წინააღმდეგ, პარტიზანული რაზმები არა თუ არ „განადგურებულა“, არამედ მათ არა თუ არ დაუკარგავთ თავისი ძირითადი ცოცხალი ძალა და თავისი საომქმედო რაიონები, არამედ, პირიქით, განამტკიცეს თავისი პოზიციები. პარტიზანული მოძრაობა ამჟამად განვითარებისა და აღმავლობის ახალ ეტაპზე იმყოფება.

ანტიიაპონური პარტიზანული რაიონების განლაგება ასეთია:

1) **პანიშეს რაიონში** შედის: პანიშეს, შუან - იანის, ინ-ტუნის, ხუა-დენის მაზრები, გირინის პროვინცია და მუკდენის პროვინციის აღმოსავლეთი ნაწილი. ეს რაიონი წინათ დაკავებული ჰქონდა ტან - დი-უს ანტიიაპონურ ჯარებს 1932 წლის შემოდგომაზე ტან-დი-უ დამარცხდა და გაიქცა პეკინში. მისი ჯარები დარჩა ამ რაიონში და ჩამოყალიბდა პარტიზანულ რაზმებად. მანჯურიის მეორე წლისთავისათვის პანშის მაზრაში შეიქმნა სახალხო - რევოლუციური არმიის პირველი ცალკე დივიზია. ამ რაიონის ათასობით და ათიათასობით მუშები და გლეხები მიესალმენ ამ დივიზიის შექმნას. მათ მოაწყეს სახსრების შეგროვება ამ დივიზიისათვის. სახალხო - რევოლუციურმა არმიამ გამოაქვეყნა თავისი ბრძოლის პროგრამა, რომელშიაც მოუწოდებდა ხალხს განედევნა იაპონელი იმპერიალისტები მანჯურიიდან, ებრძოლნა სამ აღმოსავლეთ პროვინციის ტერიტორიის დაბრუნებისა და ჩინეთის ეროვნული დამოუკიდებლობისა და გაერთიანებისათვის. შემდეგ პროგრამა საჭიროდ სთვლიდა იაპონელი იმპერიალისტების და ერის მოღალატეთა ქონების კონფისკაციას. კონფისკაციაქმნილი ქონების ერთი ნაწილი უნდა გამოყოფილიყო უმუშევართა და დამშეულთათვის. ხოლო მეორე ნაწილი უნდა მოხმარებოდა ანტიიაპონური არმიის ჯარისკაცთა ჯამაგირის გასტუმრებას, პროგრამის თანახმად უნდა შექმნილიყო გლეხთა კომიტეტები, რომელნიც ხელმძღვანელობას გაუწევდენ გლეხების ბრძოლას გადასახადების წინააღმდეგ, რენტის წინააღმდეგ და სხვ.

სახალხო - რევოლუციურმა არმიამ, რომელიც დგას იაპონელ ოკუპანტებთან საერთო ბრძოლის პოზიციაზე, ანტიიაპონური საბრძოლო შეთანხმება დასდო მას ანტიიაპონური არმიის პოლკთან და სუის ბრიგადასთან ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად. **მუშათა და გლეხთა ფართო მასების დახმარებით ჯარისკაცთა გმირული ბრძოლის და ანტიიაპონური რევოლუციური ერთიანი ფრონტის სწორი ტაქტიკის მეოხებით** შესაძლო გახდა გასულ წელს იაპონიის არმიის დამსჯელი ექსპედიციების სავსებით დამარცხება. პარტიზანებმა მოჰკლეს იაპონელი სამხედრო ინსტრუქტორი, ხელში ჩაიგდეს იაპონიის ჯარის ჯავშნიანი ავტომობილი და შესძლეს პანიკის გამოწვევა იაპონიის ჯარისკაცებს შორის. მოკლულ იქნა სამხრეთ მანჯურიის დიდი მემამულე, უკიდურესი რეაქციონერი გაუში - დიუნი, მანჯოუ-გოს არმიის პოლკის უფროსი. ბრძოლის დროს მანჯოუ-გოს არმიის ჩინელი ჯარისკაცები ჰაერში ისროდნენ. ამ ჯარისკაცთა ნაწილი გადავიდა ანტიიაპონური მოხალისე არმიის მხარეზე. იაპონური გაზეთებიც კი იძულებული იყვნენ აღეარებინათ იაპონიის არმიის დამსჯელი რაზმების სამარცხვინო დამარცხება. მაგალითად, გასული წლის 14 დეკემბრის „ხარბინ ნიჩი-ნიჩის“ ნომერში „7 დეკემბერს პანშის მაზრაში გამოჩნდენ კომუნისტი ბანდიტები. გუანდუნის არმიამ გაგზავნა დამსჯელი ექსპედიცია ხუციძუკის ხელმძღვანელობით. ბრძოლაში ბანდიტებმა მოჰკლეს 40 იაპონელი ჯარისკაცი“. 12 დეკემბრის „შინ დინ-შიბაო“ იუწყება, რომ: „კომუნისტური რაზმები თავს დაესხენ ცხენოსანი პოლკის ყაზარმას. ბრძოლის დროს მოჰკლეს პოლკის უფროსი და ყველა ჯარისკაცი ტყვედ ჩაიგდეს“.

2) **მანჯურიის სამხრეთ ნაწილის რაიონში** შედის იენ-დის, უან-ჩიუს, ხოლუნის, ხუნ-ჩუნის, ელ-უს, დინ-ხუას, ნან-ტოუს და სხვა მაზრები. ეს მაზრები წარმოადგენდენ ვან დე-ბინის ჯარების ტერიტორიალური ბაზის ნაწილს. განდოს რაიონში (რომელიც შესდგება იენ-დის, უან-ჩიუს, ხოლუნის და ხუნჩუნის მაზრებისაგან) მოსახლეობის ძირითადი მასა კორეელი გლეხებია, რომელნიც კორეიდან გამოიქცნენ ჩაგვრას და ექსპლოატაციას იაპონელი იმპერიალისტების მხრივ. ადგილობრივმა კორეულმა გლეხებმა ჩინელ მუშებთან და გლეხებთან ერთად ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობით შექმნეს პარტიზანული რაზმები, რომელნიც განუწყვეტლივ აწარმოებენ ანტიიაპონურ პარტიზანულ ომს. გასული წლის შემოდგომაზე ჩამოყალიბდა სახალხო - რევოლუციური არმია და ოთხ რაიონში შეიქმნა სახალხო - რევოლუციური მთავრობები, მუშათა და გლეხთა მასობრივი ორგანიზაციები, გლეხთა კავშირები, პროფკავშირები, კომკავშირი, პიონერთა რაზმები და სხვ.

სახალხო რევოლუციურმა არმიამაც დასდო საბრძოლო შეთანხმება ვან დე-მინის ყოფილ ჯარებთან და სხვა ანტიიაპონურ რაზმებთან. მოიგერია დამსჯელი ექსპედიცია გასული წლის შემოდგომაზე, ხოლო ამჟამად განაგრძობს ბრძოლას იაპონიის დამსჯელ რაზმებთან. იაპონელი იმპერიალისტები ცდილობენ გამოიწვიონ ნაციონალური შუღლი ჩინელებსა და კორეელებს შორის, რათა ჩაშალონ ერთიანი ანტიიაპონური ფრონტი. მათი პროვოკაციული პოლიტიკა მარცხით დამთავრდა.

3) **ტან-რანის რაიონში,** რომელიც მდებარეობს ჩიჩიხარის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში, შედის ტონ - ხოუს, ტან-რანის, ში-დონის, ლი-ზის და სხვ. მაზრები. წინათ ეს რაიონი წარმოადგენდა გენერალ მადან-სანის ჯარის ბაზის ნაწილს. ახლა ამ რაიონში მოქმედებენ მადან - სანის ყოფილი ჯარის მოხალისეთა სახალხო ანტიიაპონური არმიები, ადგილობრივ გლეხთა რაზმები და მანჯოუ-გოს ჯარის აჯანყებულთა რაზმები. აქ ითვლება სულ 20 ათასამდე კაცი. მოხალისეთა სახალხო ანტიიაპონურმა არმიამ სხვა რაზმებთან ერთად გასულ წელს დაიკავა ქალაქი ტან-რანი და დიდი ზარალი მიაყენა იაპონიის ჯარს. ამ გამარჯვებამ გააძლიერა მოხალისეთა სახალხო არმიის ავტორიტეტი ფართო მასებს შორის. როცა მოხალისეთა სახალხო არმია უტევდა მანჯოუ-გოს ოქროს სამადნოებს, ადგილობრივი მუშები და გლეხები ჩინელი კომუნისტების ხელმძღვანელობით მიესალმენ პარტიზანულ რაზმებს. შექმნეს გლეხთა კომიტეტები და მოაწყეს თავდაცვის რაზმები. გლეხები ხალისით აძლევდენ პარტიზანებს პროდუქტებს, უთმობდენ მათ შენობებს, რითაც გააძლიერეს საბრძოლო ენტუზიაზმი ანტიიაპონური რაზმების ჯარისკაცთა და პარტიზანთა შორის. ჯარისკაცები აცხადებდენ, რომ: „გლეხები ისე აქტიურად გვეხმარებიან, რომ ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა“.

4) **ჩრდილოეთ - აღმოსავლეთ პროვინციის გირინის პარტიზანულ რაიონში** შედის მაზრები: ხუ-ლინი, რაუ-ხუ, ბელი, ბაუ-ჩინი და სხ. ეს რაიონი თავის დროზე წარმოადგენდა დინ-გაუს და ლიდოს ანტიიაპონური ჯარის მოქმედების სფეროს. გენერალ დინ-გაუს კაპიტულაციამ და გენერალ ლიდოს საბჭოთა კავშირში გაქცევამ ჯარისკაცთა და მოსახლეობას შორის უდიდესი უკმაყოფილება გამოიწვია. გენერალ დინ-გაუს და ლიდოს დამარცხებამ ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ გომინდანს არ შესწევს უნარი აწარმოოს შეუპოვარი ბრძოლა იაპონელ მტაცებლებთან. ის ფაქტი, რომ ანტიიაპონური მოძრაობა ამ რაიონში, გომინდანელი გენერლების დამარცხების მიუხედავად, არ ჩამკვდარა, არამედ პარტიზანული ბრძოლის ახალ ეტაპზე ავიდა, ნათლად ამტკიცებს რომ მანჯურიის მუშათა და გლეხთა ფართო მასები ამ რაიონშიც კი უკვე თანდათან თავისუფლდებიან გომინდანის პოლიტიკური გავლენისაგან. ამ რაიონშიც არის იაპონიის მოწინააღმდეგე მოხალისეთა არმია, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს ჩინ დუნ-სანი, მოიპოვებიან აგრეთვე წითელი პარტიზანული რაზმები. გასული წლის აგვისტოში იაპონიის არმიამ გაგზავნა 7 სამდინარო სამხედრო გემი ანტიიაპონურ პარტიზანულ მოძრაობასთან საბრძოლველად. მათ შესძლეს ქალაქ ხულინის დაკავება. როცა იაპონიის გემებმა უკან დაიხიეს, ქალაქი კვლავ პარტიზანების ხელში გადავიდა. მანჯოუ-გოს 25 ათასიანი ჯარის აჯანყებამ ჩაშალა იაპონიის სარდლობის ეს კამპანია. კოკუცუს ა. წ. 17 მარტის ცნობებით: „მანჯოუ-გოს გარნიზონი ქალაქ შანსიში აჯანყდა და შან დაიკავა გოუ ლუნ-სანის მთიანი რაიონი. იაპონელთა გუანდუნის არმიამ პოლკის უფროსის იზუკის სარდლობით გაგზავნა რამდენიმე რაზმი. აჯანყებულებთან საბრძოლველად. იზუკი მოკლულ იქნა ბრძოლის დროს“.

5) **შა-ლინის პარტიზანულ რაიონში** შედის მაზრები: ლინ-ქანი, მულინი, დუნლინი, მინ-სანი და სხ. ეს რაიონი თავის დროზე დაკავებული იყო ვან დენ-ლინის ჯარების მიერ. ვან დე-ლინის გაქცევის შემდეგ მისი რაზმები დაუმორჩილდენ უხი-გინის და ლიენ-ლიუს სარდლობას. ამჟამად ეს რაზმები რეორგანიზებულია სახალხო - რევოლუციურ არმიად, რომელიც სხვა პარტიზანულ რაზმებთან ერთად აწარმოებს განუწყვეტელ ომს იაპონიის წინააღმდეგ.

6) **ჯირ- ხოუს პარტიზანულ რაიონში** შედის მაზრები: დიურ - ხოუ, უ-შანი, ტუმ-ბინი, იმენ-პო, ეეი შა-ხოუ და სხ. ეს რაიონი ხარბინის მახლობლად მდებარეობს. ამ რაიონში არის ადგილობრივ გლეხთა მრავალრიცხოვანი რაზმები: „დიდი მახვილის რაზმები“, „წითელ შუბიანთა რაზმები“ და სხ. გარდა ამისა, ამავე რაიონში მოქმედებენ სენ ჩაუ-იანის ანტიიაპონური ჯარები, რომლებშიც ითვლება მანჯოუ-გოს წინააღმდეგ აჯანყებულ 3 ათასზე მეტი ჯარისკაცი. გასულ წელს იაპონიის არმიები დამსჯელ ექსპედიციებს გზავნიდენ სენ ჩაუ-იანის ანტიიაპონური ჯარების წინააღმდეგ, სენ ჩაუ-იანმა ვერ შესძლო გლეხთა მასების ჩაბმა ბრძოლაში და იგი თითონ მზად-იყო ქედი მოეხარა იაპონიის წინაშე სენის კამპანიას შედეგად მოჰყვა მისი დროებითი დამარცხება. თითონ სენი გაიქცა. თავისი სარდლის მოქმედებით აღშფოთებული ჯარისკაცები, კომუნისტების ხელმძღვანელობის სულ უფრო-და-უფრო გაძლიერების საფუძველზე, აპირებენ სახალხო - რევოლუციურ არმიად რეორგანიზაციას.

7) **სამხრეთ - მანჯურიის ხამკუთხედის რაიონში** შედის მაზრები: შან - გაი, ცანხოუ, ფუნ-მინი და სხ. ეს რაიონი მდებარეობს მუკდენ-ანდუნის რკინის გზასა და სამხრეთ - მანჯურიის რკინის გზას შუა. ამ რაიონში მოქმედებენ დენ ტე-მეის და ლიუ დინ-ვინის ანტიიაპონური ჯარები. თუმცა იაპონიის არმიებმა გასულ წელს გაგზავნეს საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო ძალები ამ რაიონის პარტიზანული რაზმების წინააღმდეგ, მაგრამ მათ ვერ შესძლეს აქ პარტიზანული მოძრაობის მოსპობა.

გარდა ჩამოთვლილ 7 დიდ პარტიზანული რაიონისა, არის კიდევ პარტიზანული მოძრაობის მთელი რიგი მცირე კერები. ასე, მაგალითად, აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის აღმოსავლეთ შტოს მახლობლად, ხუხაის რკინის გზის მიდამოებში და სხ., არსებობენ პარტიზანთა მცირერიცხოვანი რაზმები. შვიდი რაიონიდან ხუთში შესამჩნევია კომუნისტების გავლენა, ხოლო სამ რაიონში რაზმებს, რომლებსაც კომუნისტები უწევენ ხელმძღვანელობას, გამძლეობის მდგომარეობა უკავიათ და ისინი წარმოადგენენ ანტიიაპონური პარტიზანული მოძრაობის ძირითად ძალას ამ რაიონებში.

ახალი მომენტი პარტიზანულ ანტიიაპონურ მოძრაობაში შემდეგია. პარტიზანული რაზმების უმეტესობა კომპარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფება, ხოლო პარტიზანული რაზმების ნაწილს გომინდანი და მემამულეები უწევენ ხელმძღვანელობას. **გომინდანის და რეაქციური მემამულეების გავლენის ხვედრითი წონა ანტიიაპონურ მოძრაობაში, უეჭველია, საგრძნობლად შემცირდა, მაშინ როცა კომუნისტების გავლენა ძლიერ გაიზარდა.**

ურთიერთობა, ერთი მხრით, პარტიზანულ რაზმებს, ხოლო, მეორე მხრით, მუშებსა და გლეხებს შორის თანდათან მტკიცდება. პარტიზანული რაზმების სოციალური შემადგენლობა გაუმჯობესდა, მათში უფრო-და-უფრო ებმებიან რევოლუციურად განწყობილი მუშები და გლეხები. **ანტიიაპონური ნაციონალურ - რევოლუციური ბრძოლა უკვე უკავშირდება მუშათა და გლეხთა მასობრივ ბრძოლას ჩაგვრის წინააღმდეგ.**

საბჭოების სრულიად ჩინეთის მეორე ყრილობაზე ამა წლის თებერვალს გაეგზავნა დეპეშები სახალხო - რევოლუციურ არმიებს და იაპონიის წინააღმდეგ მომქმედ მოხალისეთა არმიებს მოწოდებით, რომ შეეკრათ საბრძოლო შეთანხმება გაერთიანებული ბრძოლის საწარმოებლად იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. სახალხო - რევოლუციური არმიების დელეგაციამ ეს წინადადება მიიღო.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სახალხო - რევოლუციური არმიების და პარტიზანული რაზმების ბრძოლას შედეგად მოჰყვება მანჯურიის 30 მილიონიანი მოსახლეობის განთავისუფლება იაპონიის იმპერიალისტების უღლისაგან და რომ მათი გაერთიანებული მოქმედება ჩინეთის წითელ არმიასთან გამოიწვევს ჩინეთის მთელი 400 მილიონიანი მოსახლეობის სრულ ნაციონალურ და სოციალურ განთავისუფლებას.

**უ—ვინი.**

# მივსცეთ პროლეტარულ სახელმწიფოს მეტი და უკეთესი ხარისხის ჩაი

## ჩაის ფაბრიკების საუკეთესო მუშაობისათვის

### ჩაქვის ფაბრიკის მუშების და სპეციალისტების წერილი

პარტიამ და მთავრობამ ჩაის ფაბრიკებს დააკისრეს დიდი და პასუხსაგები საქმე. ჩვენ მონდობილი გვაქვს სახალხო მეურნეობის უდიდესი დარგი. ჩვენ ვამაყობთ ამ ნდობით და კიდეც უნდა გავამართლოთ იგი.

ჩაქვის ჩაის ფაბრიკას, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ერთერთ უძველეს ფაბრიკას, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, აჭარისტანის საოლქო კომიტეტის, ქობულეთის რაიკომის და ტრესტ „საქართველოს ჩაის“ ყოველდღიური ყურადღების და ხელმძღვანელობის შედეგად, დღეისათვის საგრძნობი მიღწევები აქვს. კერძოდ:

1933 წლის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, როგორც რიცხვობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლებით მხრით. ჩაის ხარისხისა და მისი გაზავნის ტემპებისათვის ფაბრიკა დაჯილდოებულია „ცენტროსოიუზის“ მიერ. სეზონისათვის მზადდება (შენობის და მთელი მოწყობილობის კაპიტალური რემონტი) ვადამდე დამთავრდა. სამუშაო გეგმა დაყვანილია თვითეულ ბრიგადამდე და ცალკეულ მუშამდე. თვითეული მუშის და სპეციალისტის უკეთ გამოყენების მიზნით; სეზონური მუშაობის პირველი დღეებშივე შემოწმებულ და შესწორებულ იქნა ძალთა განაწილება. ჩატარდა ფაბრიკის მიწის ნაკვეთის გამწვანება, დარგულია ციტრუსოვანი და დეკორატიული მცენარეები და სხვ.

ამ მიღწევების აღნიშვნის დროს ჩვენ გარკვევით გვახსოვს ამხ. სტალინის სიტყვები „წარმატებისაგან თავბრუდახვევის“ საშიშროების შესახებ: ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ ბევრი ნაკლი გვაქვს. ჩვენ მათ ვერ აღმოვფხვრით ორგანიზებული, ნამდვილი ბოლშევიკური ბრძოლის გარეშე. ჩვენ პირველ რიგში უნდა „გავშალოთ ბრძოლა ჩაის ფოთლის

[illegible]

სათვის, გავაუმჯობესოთ გადამუშავების ხარისხი, განსაკუთრებული ყურადღებით და მზრუნველობით მოვეპყრათ ჩაის თვითეულ ფოთოლს“.

ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის მაგალითის მიხედვით, ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანების შესრულების მიზნით, ჩაქვის ფაბრიკის მუშები, ინჟენერ-ტექნიკოსი მუშაკები და მოსამსახურეები კისრულობენ შემდეგ კონკრეტულ ვალდებულებებს და ამისკენ მოუწოდებენ „საქართველოს ჩაის“ ყველა სხვა ფაბრიკას:

1. 1934 წლის სეზონში შეასრულონ მწვანე ფოთლის გადამუშავების გეგმა 646.000 კილოგრამის ოდენობით.

2. სანიმუშოდ შეინახონ ყველა მიმღები პუნქტი და იყოლიონ იქ კვალიფიციური პერსონალი.

3. მუდამ მოვლილი იქონიონ პუნქტებთან მისასვლელი გზები.

4. გაუფრთხილდენ ავტოტრანსპორტს, მინიმუმამდე შეამცირონ გაცდენა, ჩაატარონ ავტომანქანების გეგმიან-გამაფრთხილებელი რემონტი.

5. მტკიცედ დაიცვან ტექნიკური წესები ფაბრიკის ყველა საამქრო ტრესტის ტექნიკურ წესებთან შეფარდებით.

6. სანიმუშო სისუფთავე დაიცვან მთელს ფაბრიკასა და თვითეულ საამქროში.

7. მისცენ ჩვენს ქვეყანას 153.900 კილოგრამი ხარისხოვანი ბაიხის ჩაი, აქედან: უმაღლესი ხარისხის — 1.847 კილოგრამი, პირველი ხარისხის — 21.792 კილოგრამი, მე-2 ხარისხის 1 კატეგორიის — 17.729 კილოგრამი, მე-2 ხარისხის მე-2 კატეგორიის — 47.278 კილოგრამი, მე-2 ხარისხის მე-3 კატეგორიის—41.368 კილოგრ., მე-3 ხარისხის—17.730 კილოგრ. და დაფშვნილი ჩაი —

[illegible]

8. არ გამოუშვან არც ერთი კილოგრამი დეფექტური ჩაი.

9. გადაჭარბებით შეასრულონ ხარისხობრივი მაჩვენებლები „ცენტროსოიუზთან“ დადებულ ხელშეკრულებასთან შედარებით.

10. ყოველთვიურად გადაჭარბებით შეასრულონ მზა პროდუქციის გაგზავნის გეგმა. ჩაის გაგზავნა დაამთავრონ ვადამდე 15 დღით ადრე.

11. 7 პროც. გაადიდონ შრომის ნაყოფიერება. შეამცირონ თვითღირებულება ტრესტის საწარმოო - საფინანსო გეგმის თანახმად.

12. საზღვრით მინიმუმამდე დაიყვანონ დანაკარგები წარმოებაში.

13. საბჭოთა კავშირში კოფეინის ახალი წარმოების საჭიროებისათვის, შეაგროვონ ჩაის მთელი ყვითელი მტვერი, რაც რჩება საშრობ და დამხარისხებელ საამქროებში.

14. მისცენ საუკეთესო დამკვრელებს ცალკე ოთახები.

15. გააუმჯობესონ მუშათა კვება და მომსახურება ფაბრიკასთან არსებულ სასადილოში.

16. დაამთავრონ ფაბრიკის და მუშათა საცხოვრებლების ტერიტორიის გამწვანება.

ვთხოვთ ა.-კ. სამხარეო კომიტეტს, აჭარისტანის საოლქო კომიტეტს, საკავშირო ტრესტ „საქართველოს ჩაის“, „კომუნისტის“ და „ბათუმსკი რაბოჩის“ რედაქციებს და ქობულეთის რაიკომს, მოაწყონ ჩვენი ვალდებულებათა შესრულების სისტემატიური შემოწმება.

ჩაქვის ჩაის ფაბრიკის მუშათა, სპეციალისტთა და მოსამსახურეთა კოლექტივის დავალებით:

**სუგაკი, ვ. ანთაძე, ვ. ჭანუყვაძე, გ. დროზდოვა, ქილიფთარი, მ. ტრეტიაკოვი, შ. რუხაძე, გორისოვსკაია, ჭანუყვაძე, ჩხ-** [illegible]

## სისუფთავე და წესრიგი ჩაის ფაბრიკაში

[illegible]

ლო დამოკიდებულება აქვს შრომის დისციპლინასთან. იმისათვის, რომ მოსპო წუნი, წესიერად და მონდომებით უნდა იმუშაო.

ჩაქვის ჩაის ფაბრიკის ხელმძღვანელთა (დირექტორი ამხ. **მ. სუგაკი**, პარტორგანიზატორი ამხ. **კლავდია ჭანუყვაძე**, მუშკომის თავმჯდომარე ამხ. **არ. გახარია**) ენერგიული მუშაობის შედეგად აქ დანერგილია. შეგნებული რკინისებური დისციპლინა ამით აიხსნება, რომ მაისში **არ ყოფილა გაცდენის, ან დაგვიანების არც ერთი შემთხვევა.**

ფაბრიკაში უსაქმოდ ხეტიალის ნებას არავის აძლევენ. მოსული სტუმარი ისე ვერ შევა შიგნით, თუ სპეციალური ნებართვა არ მიიღო.

წესრიგის დამყარებაში დიდი როლი ითამაშა საამქროს უფროსების მიერ სამუშაოთა შესრულების შემოწმებამ.

— მე ოსტატს ვაძლევ დავალებას. მაგრამ მარტო ამით როდი ვკმაყოფილდები, უშუალოდ ვამოწმებ შესრულების მიმდინარეობას. ამან გაზარდა ოსტატის პასუხისმგებლობის შეგნება. თუ ოსტატმა არ შეასრულა საამქროს უფროსის განკარგულება, ის აუცილებლად დაისჯება, — აცხადებს დამხარისხებელ საამქროს უფროსი ამხ. **კ. ჭანუყვაძე.**

ფაბრიკის ვერც ერთ საამქროში ვერ ნახავთ ისეთ ნივთს, რომე-

[illegible]

ამინდში სველი ტანისამოსით ფაბრიკაში არავის უშვებენ.

როლერებს (ფოთლის საგრეხი მანქანა) სველი ტილოთი წმენდენ ჩაის ფოთლის ყოველნაირი პარტიის ჩაყრის წინ.

დამხარისხებელ საამქროში ჩვეულებრივად მტვერი გროვდება. ამიტომ საამქროს გამგე ამხ. ჭანუყვაძეს **ორი მუშა სპეციალურად ყავს გამოყოფილი შიგნით სისუფთავის დასაცავად.**

არა მარტო როლერებს, არამედ საშრობ და დამხარისხებელ მანქანებსაც თვალის ჩინივით უვლიან. იატაკი, ფანჯრის მინები, მანქანები

[illegible]

სისუფთავე ფაბრიკაში ჩაის მაღალი ხარისხის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

მიმდინარე წელს ჩაის ფაბრიკას არ გამოუშვია.

**არც ერთი კილოგრამი დეფექტიანი ჩაი.**

ჩაის ფაბრიკები ჩვენში მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. მათ ყოველგვარი საშუალება აქვთ მოგვცენ ჩაის ნედლი ფოთლის გადამუშავების მაღალი მაჩვენებლები. საჭიროა მხოლოდ ყველა ამ საშუალებათა მოხერხებულად და დროულად გამოყენება, როგორსაც ამას ჩაქველმა ბოლშევიკებმა მიაღწიეს.

**თ. კუნჭულია.**



დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა. მართა ივანოვა და ნიზა დოდენკო კრეფენ ჩაის მწვანე ფოთოლს

## მუშაობის ასე გაგრძელება შეუძლებელია

### (ტფილისის, მაკარონის ფაბრიკა).

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1933 წ. 22 დეკემბრის მომართვით ფრიად სერიოზული ამოცანები დააყენა საკვები პროდუქტების ქარხნების და ფაბრიკების წინაშე. მიმართვაში (ცენტრალურმა კომიტეტმა საქარხნო-საფაბრიკო ორგანიზაციებს საბრძოლო ამოცანად დაუსახა, რომ მათ გადაჭრით გაეუმჯობესებიათ სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და საწარმოთა მთელი კოლექტივი აღეზარდათ „კარგი ხარისხის პროდუქტების დამზადებისათვის მშრომელთა წინაშე განსაკუთრებული პასუხისმგებლობის საფუძველზე“.

ცენტრალურმა კომიტეტმა იქვე დასახა კონკრეტული გზები, რომელიც უზრუნველყოფდა კვების საწარმოთა მუშაობის რადიკალურად გარდაქმნას.

საკავშირო მომარაგების სახალხო კომისარიატმაც არა ერთი ინსტრუქცია და წესდება გამოიმუშავა ც-კის მომართვის საფუძველზე.

ბელორუსიის და სტალინგრადის საკვების საწარმოთა დამკვრელების ინიციატივით პირველ მაისიდან ოქტომბრამდე მთელს საბჭოთა კავშირში ტარდება ც-კის მომართვის რეალიზაციის მიმდინარეობის შემოწმება. შემოწმებაში ჩაბმული არიან საქართველოს საწარმოებიც. მაგრამ ზოგიერთ საწარმოში ეს შემოწმება ფორმალურ ხასიათს ატარებს. შემოწმების შედეგად ვერ ვხედავთ მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

ცნობილია, რომ ტფილისის მაკარონის ფაბრიკა ცუდი ხარისხის პროდუქციას უშვებს. მიზეზი ერთია, სახელდობრ ის, რომ ფაბრიკის სამკუთხედმა ვერ გამოიყვანა ყველა დასკვნები, რომელსაც მოითხოვს ცენტრალური კომიტეტის დირექტივების ცხოვრებაში გატარება.

ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელიც მოწოდებული იყო [illegible] ჩაუდგომოდა ბრძოლას [illegible] კითხებზე. მანამდე კი სათანადო მუშაობა არ უწარმოებია.

ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ დაამუშავა ც-კის დადგენილება და თავისი ამოცანა ამოწურულად ჩათვალა. მაშინ, როდესაც, უნდა გაეშალა მუშებს შორის **„კვების წარმოების ჰიგიენის და სანიტარიის საფუძვლების პროპაგანდა, ისეთ ღონისძიებათა გატარების გზით, როგორიცაა: წრეების ორგანიზაცია, თვალსაჩინო ხელსაწყოების გავრცელება, სოცშეჯიბრების ორგანიზაცია სანიმუშო საცდელ საამქროებისათვის და სხვ.“.**

არც პროფორგანიზაციას შეუწუხებია თავი ამ მიმართულებით მუშაობის გასაჩაღებლად. ფაბრკომის თავმჯდომარემ **ნ. მორბედაძემ** ჩვენს შეკითხვაზე, თუ რა მუშაობა ჩაატარა ც-კის 22 დეკემბრის დადგენილების რეალიზაციისათვის—თავი ცოტა უხერხულად იგრძნო და მორცხვად განაცხადა: „რომელი დადგენილების? მე ეხლა თვეა აქ პროპაგანდისტად ვარ და დღემდე ამის შესახებ რაიკომს ჩემთვის არავითარი მითითება არ მოუციაო“. კაცი, რომელსაც „პროპაგანდისტად“ მოაქვს თავი, ც. კ-ის დადგენილებას სულ არ იცნობს!

განმარტება ზედმეტია.

რაც შეეხება ფაბრიკის ადმინისტრაციას, არც მას შეუწუხებია დიდად თავი დეფექტების აღმოსაფხვრელად. საამქროების კუთხეებში ობობას ქსელია გაბმული. საამქროების კარები ღიაა, ვისაც კი არ ეზარება თავისუფლად შედის. ღია ფანჯრებიდან ქარს მტვერი შეაქვს, რომელიც უხვად ედება ცომს. მუშებს ჭუჭყიანი ხალათები აცვიათ. ზოგი ფრჩხილებს არ იწმენდავს. ნახევარ ფაბრიკატი დამტვრეული ყუთებით გადააქვთ საპარატო საამქროდან საშრობებში. არავინ ზრუნავს იმისთვის, რომ დაიცვან ეს ნახევარფაბრიკატები მტვრისა და ჭუჭყისაგან.

[illegible]

**ტ. — ლი.**

## კოლმეურნეობაში შრომადღეების ჩაწერის შემოწმების შესახებ

### საქართველოს მიწსახკომისა და სა მანქანო-სატრ. სადგურების პოლიტსექტორის 1934 წლის 8 ივნისის დადგენილება

იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას ჩამორჩენა კოლმეურნეთა შრომის აღრიცხვაში, რასაც ადგილი აქვს მთელ რიგ კოლმეურნეობებში, მტკიცედ მოწესრიგდეს აღრიცხვის საქმე და გაძლიერდეს საკოლმეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობა ყოველ შრომადღისათვის, აგრეთვე თავის დროზე შეტანილ იქნას საჭირო შესწორება შრომადღეების დარიცხვაში (ნამუშევრის ხარისხისათვის შრომადღეების ჩამოკლებისა და დამატების შემოწმება, მოანგარიშე ან ბრიგადირის დაუდევრობით „დაკარგული“ შრომადღეების აღდგენა და სხვ.), საქართველოს მიწსახკომი და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტსექტორი ადგენენ:

1. ა.-წ. ივნისის 15-დან 25-მდე ჩატარდეს შრომადღეების ჩაწერის მთლიანი შემოწმება საქართველოს ყველა კოლმეურნეობაში.

2. შრომადღეების ჩაწერის შემოწმება თვითეულ კოლმეურნეობაში ჩაატაროს სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც ირჩევს კოლმეურნეობა 3-5 კაცის შემადგენლობით, კოლმეურნეობის გამგეობის წევრის მეთაურობით.

კომისია ამოწმებს შრომადღეების დარიცხვის სისწორეს, კოლმეურნ. შრ. წიგნაკებსა და კოლმეურნეობის საალრიცხვო დავთარში შრომადღეების დროულად შეტანას, აგრეთვე აჯამებს თვითეული კოლმეურნის მიერ ა.-წ. იანვრიდან ივნისამდე გამომუშავებულ შრომადღეებს.

3. ყველა რაიმიწგანის უფროსებმა, სამ.-სატრ. სადგურების დირექტორებმა და პოლიტგანყოფილებათა უფროსებმა, კოლმეურნეთა მიერ წლის დასაწყისიდან გამომუშავებული შრომადღეების გამოანგარიშებასთან ერთად, მოაწყონ უშუალოდ მათივე მეთაურობით შემოწმება იმისა, თუ რამდენად სწორად წარმოებს ბრიგადებში შრომის შეფასება, სწორად ხდება თუ არა შესრულებულ სამუშაოს ხარისხის მიხედვით შრომადღეების დაკლება, ან მომატება, აგრეთვე უზრუნველყოფ მოანგარიშის, ან ბრიგადირის დაუდევრობით კოლმეურნის მიერ „დაკარგული“ შრომადღეების აღდგენა.

4. აფხაზეთის, აჭარისტანისა და სამხრეთ. ოსეთის მიწსახკომებმა, ყველა რაიმიწგანის უფროსებმა და სამანქ.-სატრაქტ. სადგურების დირექტორებმა და პოლიტგანყოფილებათა უფროსებმა წარმოუდგინონ კუთ-ნილე ბისამებრ მიწსახკომს და სამ.-სატრ. სადგურების პოლიტსექტორს ათდღიურის ჩატარების შედეგები არა უგვიანეს ა.-წ. ივნისის 30-ისა.

საქართველოს მიწათმოქმედების სახკომის მოადგილე **გვარამია**

სამ.-სატრ. სადგურების პოლიტსექტორის უფროსი **ბელელაძე**

## ნავთის პროდუქტებით ვაჭრობა გადაეცემა ნავთვაჭრობას

საქართველოს ეკონომსაბჭომ მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის და მოსახლეობის ნავთის პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელ საჭიროდ სცნო მოახდინოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში არსებული ნავთის პროდუქტებით მოვაჭრე სპეციალური გაერთიანების — საქსათბობის და ტფილსათბობის ლიკვიდაცია. ნავთის პროდუქტებით მომარაგება გადაეცემა ნავთვაჭრობას.

ვინაიდან ა.-კ. ს. ფ. ს. რ-ის ტერიტორიაზე ნავთვაჭრობის ფუნქციებს ასრულებს აზნავთვაჭრობა, რომელიც წარმატებით უძღვება თავის მუშაობას აზერბეიჯანში, ეკონომსაბჭომ დაადგინა სთხოვოს აზერბეიჯანის სახკომსაბჭოს მოაწყოს საქართველოში აზნავთვაჭრობის განყოფილება და დააკისროს მას ნავთის პროდუქტებით საბითუმო-საცალო ვაჭრობა მრეწველობის, მექანიზირებული სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის და აგრეთვე ქ ტფილისის მოსახლეობის მომარაგების მიზნით.

ნავთის პროდუქტებით ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მომარაგება, ტფილისის გარდა, სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში რჩება.

## ბიბლიოგრაფია

## ოპორტუნისტული სახელმძღვანელოდ

**ა. ჩაჩუა და ნ. ანდღულაძე — კლასთა ბრძოლის ისტორია, სახელგამი, 1933 წ.**

მარქსისტულ-ლენინურ თეორიის საფუძველზე შედგენილ სახელმძღვანელოს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობისა და მასწავლებელთათვის. მაგრამ საუბედუროდ ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ სახელმძღვანელოებს, რომლებშიაც ადგილი აქვს მთელ რიგ ანტიმარქსისტულ შეხედულებებს და პლაგიატობასაც. ამის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს **ა. ჩაჩუას და ანდღულაძის წიგნი — „კლასთა ბრძოლის ისტორია“.**

ავტორები წერენ: „საბჭოთა ეკონომიკის მოძრაობის კანონი, სოციალიზმის აშენების კანონი არის არა ბაზრის სტიქია და ღირებულების კანონი, არამედ გეგმა. გეგმა როგორც ეკონომიური კანონი, წარმოადგენს ეკონომიურ კანონთა უმაღლეს ტიპს, ის როგორც თვით საბჭოთა სამეურნეო სისტემა წინადროინდელ სამეურნეო სისტემასთან შედარებით წარმოადგენს გაცილებით უფრო განვითარებულ, მაღალი ფორმის სამეურნეო სისტემას“ (გვ. 128). ჩვენი „თეორეტიკოსები“ გვერდს უვლიან და სავსებით იგიწყებენ გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის შესწავლაში პროლეტარიატის დიქტატურის მნიშვნელობას, სრულიად უგულებელყოფენ პროლეტარიატის დიქტატურას, როგორც საბჭოთა ეკონომიკის მოძრაობა-განვითარების ძირითად კანონს.

ავტორები ვერ ერკვევიან ისეთ საკითხში, როგორიცაა ტექნიკურ-ეკონომიურად მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების დაწევის და გასწრების ლოზუნგი. ამ ლოზუნგის აზრი ავტორებს ესმით ისე, თითქოს „ჩვენ უნდა მივბაძოთ კაპიტალისტურ ტექნიკას“ (გვ. 121). ასე ვულგარულად გაუგიათ ამხ. სტალინის მიერ წამოყენებული დაწევის და გასწრების უაღრესად პოლიტიკურ-ეკონომიური ლოზუნგი ჩვენს ავტორებს.

საბჭოთა კავშირი არამც თუ „მისჩანჩალებს“, „მისდევს“ კაპიტალისტურ ტექნიკას კუდში, არამედ დაეწია და ზოგიერთ დარგში კიდეც გაუსწრო მას.

ავტორები უხეშ პოლიტიკურ შეცდომას უშვებენ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო წყობის დახასიათების დროს, როცა წერენ: „ჩვენ მეურნეობაში.. ძირითად ეკონომიურ წყებას წარმოადგენენ სოციალისტური, წვრილი სასაქონლო და კაპიტალისტური წყებანი“ (გვ. 78). ავტორები გვერდს უვლიან სოციალისტური მშენებლობის მიღწევებს, რომელთა შედეგად „ზოგიერთი ეს წყობა, როგორც დამცველებული, ძირს ეშვება, ხოლო ერთი ამ წყობათაგანი, სახელდობრ ახალი წყობა (სოციალისტური. ი. ქ.) მრეწველ. და სასოფლო მეურნეობის დარგში იზრდება და არაჩვეულებრივი სისწრაფით ვითარდება“ (სტალინი).

ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო წყობათაგან საბოლოოდ გაბატონდა მხოლოდ სოციალისტური წყობა, „პირველი, მესამე და მეოთხე საზოგადოებრივი ეკონომიური წყობანი უკვე არ არსებობენ, მეორე

[illegible]

გვხვდება „მემარცხენე“-მემარჯვენე ოპორტუნისტული ხასიათის შეცდომები. არამც თუ ამ შეცდომების გარჩევა, არამედ მათი უბრალოდ ჩამოთვლაც კი ძალიან შორს წაგვიყვანდა. ასეთი აშკარა შეცდომები, რომელთაც განმარტება არ ესაჭიროებათ, სხვათა შორის, შემდეგია: „დღემდე კოლმეურნეობაში შემოსავალი ნაწილდება სულადობის მიხედვით“ (გვ. 240). „დაკრედიტების მეთოდი და საკრედიტო აპარატის ორგანიზაციული წყობა ჩვენ უმეტესად კაპიტალისტური ქვეყნების საკრედიტო პრაქტიკიდან გვქონდა გადმოღებული“ (გვ. 107). „იმ დარგში, სადაც მოთხოვნილება მიწოდებაზე დაბლა დგას (საბჭოთა კავშირში. ი. ქ.) ტრესტებს შორის შესაძლებელია კონკურენცია“. „სახელმწიფო ტრესტებს შორის კონკურენცია განსაზღვრულ ფარგლებში დასაშვებია“ (გვ. 102). საქართველოში „1918 წლის გლეხთა აჯანყებებს სტიქიური ხასიათი ქონდა, ისინი მოკლებული იყვნენ ყოველგვარ ორგანიზაციულ და იდეურ ხელმძღვანელობას. ამიტომ ბოლშევიკური ორგანიზაციის საოლქო კომიტეტმა გადაწყვიტა გლეხთა აჯანყებების ხელმძღვანელობის გაწევა სტიქიურობის თავიდან ასაცილებლად“ (გვ. 205).

ასეთი აშკარა ანტიბოლშევიკური, ანტილენინური დებულებები უხვად მოიპოვება ამ „ნაწარმოებში“.

წიგნში პრინციპული ხასიათის შეცდომებთან ერთად მოცემულია ყოვლად შეუწყნარებელი ლიტერატურული უმსგავსობა — პლაგიატი.

აი სათანადო ადგილები: (**ლეონტიევი, კაპიტალიზმი და სოციალიზმი. რუსული გამოცემა**).

ლეონტიევი წერს:

> Закон стоимости—основной закон рынка. Когда какого-нибудь товара,—положим шляп—произведено меньше, чем требуется, цены на этот товар подымаются выше его стоимости. Капиталистам тогда очень выгодно производить шляпы. Капиталисты устремляются в шляпное производство. Строят новые предприятия или расширяют пр-во уже существующих. При товарном пр-ве отдельные товары продаются по своим ценам. Цена товара—это денежное выражение его стоимости. Но цены товаров постоянно колеблются в зависимости от рыночных условий. Цена товара поэтому не совпадает по своей величине с его стоимостью. Цена бывает выше или ниже стоимости.
>
> Стоимость, однако, остается той осью, той серединкой, вокруг которой колеблются цены (33. 33-34)

ჩაჩუა და ანდღულაძე „წერენ“:

„ღირებულების კანონი ბაზრის მთავარი კანონია, როდესაც რომელიმე საქონელი, მაგ. ქუდი. — დამზადებულია გაცილებით ნაკლები, ვიდრე მასზე მოთხოვნილებაა — ამ საქონლის ფასი ღირებულებაზე ზევით აიწევს. ასეთ შემთხვევაში კაპიტალისტებისათვის ქუდების დამზადება ხელსაყრელია და ისინი ქუდების არსებულ საწარმოებსაც აფართოებენ და ახალსაც ხსნიან“... სასაქონლო წარმოების დროს საქონელი იყიდება იმ ფასად, რომელიც ბაზარზე მყარდება. საქონლის ფასი არის ღირებულების ფულადი გამოხატულება. მაგრამ საქონელთა ფასი მუდმივ ქანაობს იმისდა მიხედვით, თუ როგორია ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების შეფარდება. ამიტომ საქონლის ფასი თავისი სიდიდით არ ეთანასწორება ნამდვილ ღირებულებას. ფასი ღირებულებაზე ზევით,

[illegible]

მის საკითხებიც“ კი გაქურდეს და სტალინის სიტყვები უკომენტარიოთ თავიანთ სიტყვებად გაასაღეს. აი, მაგალითი: ავტორები წერენ:

„რა ორგანიზაციებია ეს? ესაა, ჯერ ერთი მუშათა პროფკავშირები, რომლებიც იყოფა ცენტრში და ადგილებზე მრავალ საწარმოო, კულტურულ, აღმზრდელობით და სხვა ორგანიზაციებად. ისინი აერთიანებენ ყველა პროფესიის მუშებს... პროფკავშირები თავის წრიდან გამოყოფენ საუკეთესო მუშაკებს მართვა-გამგეობის ყველა დარგის ხელმძღვანელობისათვის. ისინი ანხორციელებენ კავშირს მუშათა კლასის მოწინავე და ჩამორჩენილ წრეებს შორის. ისინი უკავშირებენ მუშათა მასებს მუშათა კლასის ავანგარდს — პარტიას“ (გვ. 71).

„ლენინიზმის საკითხებში“ კი ვკითხულობთ:

„რა ორგანიზაციებია ეს? ესაა პირველი, მუშათა პროფკავშირები, მათი ქსელი, ცენტრსა და ადგილებზე მთელ რიგ საწარმოო, კულტურულ, აღმზრდელობითი და სხვა ორგანიზაციების სახით. ისინი აერთიანებენ ყველა პროფესიის მუშებს. ისინი თავის წრიდან გამოყოფენ საუკეთესო ძალებს ხელმძღვანელი მუშაობისათვის მართვა-გამგეობის ყველა დარგში. ისინი ანხორციელებენ კავშირს კლასის მოწინავე და ჩამორჩენილებს შორის. ისინი აერთიანებენ მუშათა მასებს მუშათა კლასის ავანგარდთან“. (გვ. 235).

მართლაც, იშვიათი ლიტერატურული თავხედობაა სხვისი აზრების ასეთი აშკარა ქურდ-ბაცაცობა და ბელადის სიტყვების ასეთი თავისუფალი „რედაქტირება“. ავტორები ამხ. სტალინის წიგნიდან (გვ. 234-35-36-37) ამავე წესით ხშირად „ისესხულობენ“ მთელ რიგ წინადადებებს.

ასეთია ა. ჩაჩუას და ნ. ანდღულაძის ეს „ორიგინალური“, მენშევიკურ-ოპორტუნისტული შეცდომებით აღსავსე წიგნი. ამ წიგნის გამოცემა — ისიც სახელგამის მარკით — ყოვლად გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს.

**იასონ კვირიკაძე**

**ევგენი ხარაძე**

# სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორია აბასთუმანში

საბჭოთა მეცნიერების **გეგმიანმა** განვითარებამ ასტრომიულ დარგშიაც შეიტანა გადახალისება და ასტრონომიული კვლევა-ძიება ახალი, რაციონალური და პრაქტიკული გზით წარმართა.

ასტრონომიული მეცნიერების დაგეგმვამ გამოამჟღავნა მისი პრაქტიკული ღირებულებანი გამოაშკარავდა, რომ აქამდე „აბსტრაქტულს“ მეცნიერებად მიჩნეულ ასტრონომიას დიდი შესაძლებლობა გააჩნია იმისათვის, რომ იგი ნაყოფიერად ემსახუროს ჩვენი ქვეყნის პრაქტიკულ მოთხოვნილებებს გეოფიზიკის, ჰელიოტექნიკის, სოფლის მეურნეობის, რადიო — სამსახურის, თავდაცვისა და მრავალ სხვა დარგში.

მართლაც მზეზე განვითარებული ფიზიკური პროცესები უშუალო გავლენას ახდენენ დედამიწის მოვლენებზე: მაგნეტიზმზე, რადიო-ტალღების გავრცელებაზე და სხვა. მზის ზედაპირზე მომქმედი მოვლენების ზოგიერთი ინდექსები უდაოდ ამყარებენ დამოკიდებულებას ამ მოვლენებსა და ამინდს შორის. მზე წარმოადგენს სიცოცხლის წყაროს დედამიწაზე, ენერგეტიკის უმდიდრეს ბაზას. მზის მოვლენათა შესწავლაზეა დამოკიდებული ჰელიოტექნიკის კეთილნაყოფიერი განვითარება. ქვეყნის თავდაცვის საქმეშიაც ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ასტრონომიულ კვლევა-ძიებას. მართლაც, აერო-ფოტოაგეგმვა, კარტოგრაფია, გეოდეზია-ყველა ამ საქმეებს ხომ ასტრონომია უზრუნველჰყოფს. და ბოლოს, სტრატოსფეროს შესწავლა-აქაც ხომ დიდი გამოყენება აქვთ ასტრონომიურ მეთოდებს (მთვარის დაბნელება, ვარდნილი ვარსკვლავები, ბინდი, დედამიწის ალბედო და სხვა).

კიდევ მრავალი ისეთი პრობლემის დასახელება შეიძლება, საიდანაც ჩანს, რომ **ამა თუ იმ ასტრონომიულ დარგს ღრმა თეორიულ შინაარსთან ერთად დიდი პრაქტიკული ინტერესი ახლავს.**

ამრიგად, აშკარაა, რომ ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს პირობებში მეტად საჭიროა და აქტუალური ასტრონომიული კვლევა-ძიების განვითარება.

მაგრამ, ასტრონომიის კეთილნაყოფიერი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მძლავრი, თანამედროვე ასტრონომიული იარაღებით აღჭურვილ დიდ დასამზერ ბაზას ეყრდნობა. მაგრამ, არსებითი ის არის, რომ ასეთი ბაზა ანუ ობსერვატორია ისეთ ადგილას იყვეს მოწყობილი, სადაც ატმოსფერული რეჟიმის პირობანი მაქსიმალურად აკმაყოფილებენ გარკვეულ ასტრონომიულ მოთხოვნილებებს.

არცერთი ძველი ასტრონომიული ობსერვატორია, რომელიც კავშირის ტერიტორიაზე იმყოფება არ მდებარეობს ამ მხრივ ხელსაყრელ ადგილას. ეს გასაგებიც არის რადგან ძველად ობსერვატორიისათვის ადგილს ამოარჩევდენ მოხერხებული მიმოსვლის დასახლებულ ცენტრთან ახლომდებარეობის და სხვა ამგვარი თვალსაზრისის საფუძველზე. ადგილის ბუნებრივი პირობების რაციონალურ გამოყენებას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა.

1931 წლიდან ლენინგრადის სახელმწიფო ასტრონომიული ინსტიტუტის ხელმძღვანელობით ა. კავკასიაში, ჩრ. კავკ. ყირიმსა შუა აზიასა და სხვა რაიონებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა ნათელჰყო, რომ **პლატო ალოზილი- ქანოზილი აბასთუმანში** ყველა გამოკვლეულ რაიონებთან შედარებით **ასტრონომიული თვალსაზრისით საუკეთესო ადგილს წარმოადგენს.**

რაში მდგომარეობს აბასთუმნის რაიონის ასტრონომიული უპირატესობა?

კეთილნაყოფიერი ასტრონომიული კვლევისათვის საჭიროა, ჯერ ერთი, რაც შეიძლება მეტი რიცხვი იყვეს მოწმენდილი დღე- ღამეებისა, როდესაც ღრუბელი ასტრონომიული დამზერას ხელს არ უშლის. მეორეც, და რაც მთავარია, საჭიროა, რომ მოწმენდილ დღე-ღამეებში ატმოსფეროს მდგომარეობა ისეთ პირობებში იყვეს, რომელიც დამზერის **მაღალ** ხარისხს უზრუნველყოფენ. ეს პირობები კი მაღალ გამჭვირვალობასა და ატმოსფერული ფენების შელარებით სიწყნარეში მდგომარეობენ. აი სწორეთ ეს ორი თვისება ახასიათებს აბასთუმნის ატმოსფერულ რეჟიმს.

წელიწადნახევრის მუშაობის შედეგებმა გაამართლეს აბასთუმანში სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორიის შექმნის აზრი. ობსერვატორიის მუშაობა და ამოცანები ამ დროის განმავლობაში ისეთნაირად იყო შერჩეული, რომ მან ამ თავითვე გარკვეული ადგილი დაიკავა **საკავშირო** ასტრონომიულ მუშაობაში. მისი მუშაობა შინარსით ისეთი ხასიათისა იყო, რომ მონაწილეობა საკავშირო ასტრონომიულ მუშაობაში ამთავითვე სრულფასიანი, სრულწონიანი შეიქმნა. ეს გარემოება არა ერთხელ აღუნიშნავთ ამ დარგის ავტორიტეტებს ამა თუ იმ ასტრონომიულ კონფერენციაზე, თათბირზე თუ ყრილობაზე. ეს გარემოება იყო საბაბი იმისა, რომ შემდეგში წამოიჭრა და განმტკიცდა ახალი აზრი: აბასთუმნის საცდელ ბაზაზე მოეწყოს **საკავშირო მნიშვნელობის** თანამედროვე ტიპის დიდი სამთო ასტროფიზიკური ცენტრი.

**ეს აზრი ამჟამად განხორციელებას იწყებს:** — შარშანწინ გერმანიიდან მიღებული იყო ახალი დიდი ასტრონომიული ინსტრუმენტი — 16 დიუიმიანი რეფრაქტორი, რომლის დადგმა ჩრ. კავკასიაში იყო განზრახული. შარშან წამოიჭრა ამ ინსტრუმენტის აბასთუმანში გამოყენების საკითხი და სპეციალური საექსპერტო კომისიების მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად ეს აზრი მიზანშეწონილად იქნა ცნობილი.

ამრიგად აბასთუმნის ობსერვატორიამ მიიღო გერმანული, ცეისის პროდუქციის თანამედროვე და დიდი რეფრაქტორი, რომლის ღირებულება დამხმარე მოწყობილობით 75.000 ოქროს მანეთს აღემატება. ეს ინსტრუმენტი და მისი თალი ელექტროფიცირებულია. მას ახლავს ორი პარალელური 8-8 დიუმ. ფოტოგრაფიული კამერა, რაც მას უდიდეს კვლევით შესაძლებლობას ანიჭებს. სიდიდით ეს რეფრაქტორი მეორეა მთელ კავშირში, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ მის ყველა კომბინირებულ მოწყობილობათა კომპლექსს, მაშინ იგი ერთად ერთს და ღირსებით საუკეთესო რეფრაქტორს წარმოადგენს მთელ კავშირში.

ამ რეფრაქტორის მიღება ჩვენ უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს. **აუცილებლად საჭიროა, რომ რეფრაქტორი უმოკლეს დროში ავაწყოთ და ავითვისოთ.** ეს საქმე კი არც ისე ადვილია, რომ მას არ შევწიროთ რაც შეიძლება მეტი საქმიანი ყურადღება და ენერგია.

ცეისის ფირმას სურდა, რომ რეფრაქტორის მონტაჟისათვის მათი სპეციალისტები მოგვეწვია გერმანიიდან. ჩვენ კი მოვიწადინეთ დავზოგოთ ვალიუტა და ინსტრუმენტის დადგმის სიძნელე ჩვენივე ძალებით გადავლახოთ.

ამის საპასუხოდ ცეისი მოიქცა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო: ფარი განაცხადა ხელსაწყოს წესიერად მოქმედებისათვის პასუხისგებაზე და ამას გარდა, აღარ გამოგზავნა ყველა ის მითითებანი და ნახაზები, რომელნიც საჭიროა მონტაჟისათვის.

მიუხედავათ ამისა, ჩვენში არავითარ ეჭვს არ იწვევს ის საკითხი — დავძლევთ თუ არა მონტაჟს. რა თქმა უნდა, დავძლევთ, თუმცა ამ საქმეში გამოცდილებაც არ გვაქვს, რადგან ასეთი დანადგარი პირველია კავშირში.

**ჩვენ უმოკლეს დროში უნდა ავითვისოთ ჩვენი ახალი საიმპორტო ხელსაწყო და ამ საქმეში თავდაუზოგავი ენერგია გვმართებს ყველას:** ობსერვატორიის მუშაკებს, ადგილობრივ სამეურნეო ორგანიზაციებს და ხელისუფლების ორგანოებს, საკურორტო სამმართველოს, „საკურორტო მშენებლობას“, ლითონის კონსტრუქციების ტფილისის ქარხნის მუშებსა და ინჟენერ ტექნიკოსებს, რომელთა მეშვეობით თალის მონტაჟი უნდა შესრულდეს და სხვ.

**ჩვენ უმოკლეს დროში უნდა გავამართლოთ ის ნდობა და მზრუნველობა, რომელსაც პარტია და მთავრობის ორგანოები იჩენენ ჩვენს მიმართ.**

ამ რამოდენიმე ხნის წინეთ აბასთუმნის ობსერვატორია ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისტემაში შევიდა. ეს ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომელიც ჰგულისხმობს აბასთუმნის ობსერვატორიის სამეცნიერო — ორგანიზაციულ თანამშრომლობას ისეთ ავტორიტეტულ დაწესებულებასთან, როგორიცაა დღეს ჩვენი უნივერსიტეტი. ეს თანამშრომლობა კიდევ მეტად ამტკიცებს რწმენას, რომ დღევანდელ ობსერვატორიის ნიადაგზე აბასთუმანში მართლაც მძლავრი ასტროფიზიკური ცენტრი აღმოცენდება.

მთელ საბჭოთა კავშირში არც ერთი მზის შესასწავლი თანამედროვე ხელსაწყო არ არსებობს.

ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივა აბასთუმნის ობსერვატორიისათვის სპექტრო-ჰელიოსკოპ-ჰელიოგრაფის შეძენისა ამერიკაში.

როდესაც იგი დაიდგმის აბასთუმანში, ჩვენი ობსერვატორია მზის შესასწავლი ანუ ჰელიოფიზიკური პირველი პუნქტი იქნება კავშირში. ეს კიდევ ცოტაა. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შემდეგ გარემოებას: მზეზე განვითარებული პროცესების ღრმა და ყოველმხრივი შესწავლა მოითხოვს მზის **განუწყვეტლივ** დამზერა-დაკვირვების წარმოებას. მაგრამ **განუწყვეტელი** დამზერა შესაძლოა მაშინ, თუ დამზერი პუნქტები ანუ მზის ობსერვატორიები **თანაბრად** არიან განაწილებულნი მთელ დედამიწის ზურგზე **მერიდიანების მიხედვით.**

ამჟამად მთელ დედამიწის ზურგზე 25 სპექტრო-ჰელიოსკოპია გამართული.

ესენი ცოტად თუ ბევრად თანაბრად არიან განაწილებული მერიდიანების მიხედვით: მაგრამ ერთი ფართე ზონა დღემდე ღიათ რჩება: იტალიასა (ფლორენცია) და სამხრეთ ინდოეთს შუა (კოდაიკანალის ობსერვატორია) არსად არ სწარმოებს სრული მზის სამსახური სპექტრო-ჰელიოსკოპ-ჰელიოგრაფის მეშვეობით. აბასთუმანს შუა ადგილი უკავია ამ ორი (იტალიისა და ინდოეთის) ობსერვატორიის მიმართ. თუ აბასთუმანში სპექტრო-ჰელიოსკოპ-ჰელიოგრაფს დავდგამთ მაშინ ეს „სიცარიელე“ საერთაშორისო ქსელში ამოივსება და აბასთუმნის ობსერვატორია ამ ქსელში ჩაერთვის სამეცნიერო საერთაშორისო კოოპერაციისათვის. ამით დიდათ მოიგებს აბასთუმნის ობსერვატორიაც. მზის სამსახურიც ჩვენს კავშირში და ცხადია, მზის სამსახურიც მთელ დედამიწის ზურგზე. ეს არსებითად დიდათ მნიშვნელოვანი საქმე იქნება.

იმ სამუშაოებიდან, რომელნიც წელსვე იქნება განხორციელებული აბასთუმანში. ცალკე აღსანიშნავია კიდევ ერთი სამუშაო. ეს არის მზის **ულტრაიისფერი გამოსხივების აღრიცხვა.** ცნობილია, რომ ულტრაიისფერი გამოსხივებას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს გეოფიზიკური, ბიოლოგიური და სხვა თვალსაზრისით.

ულტრაიისფერი ენერგიის კადასტრით დაინტერესებულნი არიან აგრეთვე ექიმები და კურორტოლოგები. **როგორია ულტრაიისფერი გამოსხივების პროცენტი ამა თუ იმ კურორტზე? რომელი კურორტი უფრო მდიდარია ულტრაიისფერი ენერგიით? როგორი უნდა იყვეს ავადმყოფისათვის მზის მკურნალობის დოზირება ამა თუ იმ კურორტზე?** აი უაღრესად აქტუალური კითხვები კურორტოლოგიის საქმისათვის. ყველა ამ კითხვებს კონკრეტულად უპასუხებს სპეციალური ფოტოელექტრული დანადგარის სისტემატიური მუშაობა.

ამ ნიადაგზე, საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიატრიის ინსტიტუტთან შეთანხმების საფუძველზე ობსერვატორია წელსვე მოაწყობს ასეთ დანადგარს აბასთუმანში და სხვა კურორტებზე. ამისათვის უკვე შეკვეთილია ლენინგრადში კვარციის ოპტიკა ოქროსა და ვერცხლის ფილტრებით. ასეთი დანადგარი პირველი იქნება კავშირში.

ასეთია, მოკლედ, აბასთუმნის ობსერვატორიის **უახლოესი** ამოცანები.



კოშკი, რომელშიაც ამჟამად 13'' რეფრაქტორი სდგას.

რა თქმა უნდა წლებია საჭირო იმისათვის, რომ ჩვენი განზრახვა სრულად განხორციელდეს. მაგრამ **1936 წლისათვის ჩვენ მაინც უნდა მივაღწიოთ ღირსეულ დონეს,** და აი **რატომ:** **1936** წელს მოხდება მზის სრული დაბნელება, და იგი ხილული იქნება მხოლოდ ჩვენი კავშირის ტერიტორიაზე. მზის სრული დაბნელება ისეთი შინაარსის მოვლენაა, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის. ამავე დროს იგი არც ისე ხშირად ხდება. და სწორედ ამიტომ ამერიკის და ევროპის თითქმის — ყველა მთავარი ობსერვატორიები უკვე სამზადისს შეუდგენ და მრავალრიცხოვან სამეცნიერო ექსპედიციებს რაზმავენ საბჭოთა კავშირში გამოსაგზავნად. ამ დროისათვის იმდენად უნდა მოვემზადოთ რომ უცხოელებს უკვე საკმარისად მომაგრებული ჩვენი პირველი სამთო ასტრონომიული ობსერვატორია დავახვედროთ.

ჩვენი დროის ასტროფიზიკა ბუმბერაზული ნაბიჯებით ვითარდება. ამ განვითარების ბაზას უმთავრესად მშვენივრად გამართული ამერიკის **სამთო** ობსერვატორიები წარმოადგენენ. თანამედროვე დამზერითი და ექსპერიმენტალური ასტროფიზიკის სიმძიმის ცენტრი უმთავრესად **სამთო** ობსერვატორიებს ემყარება. რა დააინტერესებს ამერიკის ასტროფიზიკურ ექსპედიციებს ჩვენში პირველ რიგში? რა თქმა **უნდა საბჭოთა კავშირის პირველი და ჯერჯეროგით ერთად ერთი სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორია აბასთუმანში.**

როდესაც მთავრობის ორგანოებმა მოსკოვში ახალი რეფრაქტორი გადმოგვცეს მათ სწორეთ ასეთი მითითებით გამოგვისტუმრეს: **ემზადეთ 1936 წლისათვის-ო.**

1936 წლისათვის სამზადისში კერძოდ და ობსერვატორიის კეთილ ნაყოფიერ განვითარების საქმეში საერთოდ კიდევ ერთ გარემოებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ეს არის „მზის სამსახურის“ (მზის სისტემატიური შესწავლის) საქმის დაყენება. **მზის ფიზიკის შესწავლა თეორიული და პრაქტიკული მიზნებით — სამთო ობსერვატორიის ფუნდამენტალური ამოცანაა.** კერძოთ საბჭოთა ასტრონომიისათვის ეს, აშკარაა, უმნიშვნელოვანესი საქმეა. და მიუხედავათ ამისა დღესდღეობით



ცეისის ახალი 16'' რეფრაქტორი. მასშტაბისათვის შეადარეთ მის მახლობლად მდგომ კაცს.

# რუსთაველის თეატრის 10 წლის იუბილესათვის

## 50 ათასი მანეთი თეატრის მუშაკთა დასაჯილდოებლად

საქართველოს სახკომსაბჭომ დაადგინა გადასდოს 50 ათასი მანეთი რუსთაველის თეატრის მუშაკთა დასაჯილდოებლად, თეატრის 10 წლის მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

## იუბილეში მონაწილეობისათვის

რუსთაველის თეატრის იუბილეში მონაწილეობისათვის და თეატრისათვის მისალმების გადასაცემად ტფილისში ჩამოვიდა ვახტანგოვის თეატრის დირექტორი ვენიავი და ამავე თეატრის მსახიობი ქალი ოროჩკო. თავისი წარმომადგენლები გამოგზავნა აგრეთვე მოსკოვის მცირე თეატრმა. მოელიან საბჭოთა კავშირის სხვა თეატრების და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

## უკანასკნელი წინასაიუბილეო წარმოდგენა

12 ივნისს რუსთაველის თეატრში წინასაიუბილეო უკანასკნელი წარმოდგენაა. დაიდგმება „ინ ტირანოს" ხელოვნების და მეცნიერების მუშაკებისათვის.

## რუსთ. თეატრის 10 წ. იუბილესათვის მუშა-მაყურებლების დაჯილდოება

მეორე საიუბილეო წარმოდგენის ბოლოს, 10 ივნისს, რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობამ დააჯილდოვა 12 მაყურებელი. მათ მიეცათ თეატრის წარმოდგენებზე დასასწრები წლიური უფასო ბილეთები და მათი ვინაობა შეტანილ იქნა თეატრის მუზეუმის საპატიო დაფაზე.

დაჯილდოებულთა შორის არიან — ტრამვაის მუშები — კონსტ. ჩინოა, პეტ. მარგიშვილი, ზედგენიძე (კულტ[illegible]მაკი) და ალ. თევზაძე; წყალსადენის სახელოსნოს მუშებიდან — ლავ. ქანთარია, გრ. შახნაზაროვი, ნ. ალიმბარაშვილი და გ. უტულაშვილი; პოლიგრაფიულ საწარმოთა მუშებიდან — ანდ. თოდუა, ვ. ესაიაშვილი და ილ. ცაგარეიშვილი.

# დაიწყო პარკის დამზადება

ახალსენაკი, 10 ივნისი (საკ. კორ.). 9 ივნისიდან მთელს რაიონში დაიწყო აბრეშუმის პარკის დამზადება. პარკის მოსა-...

# დღეს მუშათა კლუბები

# 2.000 უცხოელი ტურისტი

## ჩამოვა წელს საქართველოში

„ინტურისტის" საქართველოს განყოფილებაში მიღებული ცნობებით წელს საქართველოში მოელიან 2.000-ზე მეტ უცხოელ ტურისტს — უმთავრესად ჩრდილოეთ ამერიკიდან და საფრანგეთიდან.

უცხოელი ტურისტების მომსახურების გასაუმჯობესებლად საჭირო მუშაობა დამთავრებულია: შეკეთებულია სასტუმროები — ტფილისში, ბათომში, ფოთში; მოწყობილია სასადილოები ყველა იმ პუნქტში, სადაც უცხოელმა ტურისტებმა უნდა გაიარონ. ტრანსპორტით მომსახურების საქმის გასაუმჯობესებლად „ინტურისტის" საქ. განყოფილება ამ დღეებში მიიღებს ორ მსუბუქ ავტომობილს და ერთ ავტობუსს. არსებული ავტოტრანსპორტი მთლიანად შეკეთებულია.

მომავალი წლიდან „ინტურისტს" გადაწყვეტილი აქვს აგოს ახალი პავილიონები ფასანაურსა და ყაზბეგში, ხოლო ახალი სასტუმრო ბათომში.

# დაწყებულია ავტოსარემონტო ქარხნის მოწყობილობათა მონტაჟი

ტფილისის ავტოსარემონტო ქარხნის ძირითადი საამქროების აგება უკვე დამთავრდა. დამთავრებულია აგრეთვე ქარხნის ყველა საწარმოო კორპუსების შენებლობა და დაწყებულია მათი შიგნითა მოწყობა (შელესვა, სინათლის გაყვანა, ვენტილიაციის მოწყობა და სხ.).

ქარხნის მოწყობილობათა დიდი ნაწილი დამზადებულია საბჭოთა კავშირის ქარხნებში. მანქანების უმრავლესობა მიღებული და დადგმულია, ხოლო დანარჩენი ნაწილი მიღებული იქნება უახლოეს თვეებში. მთელი ქარხნის მოწყობა შემოდგომაზე დამთავრდება. საამქროებში დაიწყო უკვე დადგმულ მანქანებისა და დაზგების ტექნიკური ათვისება. დღეში ერთ-ცვლად მუშაობისას ქარხანამ უნდა გამოუშვას 2.000 ავტომობილი.



# 500.000 მანეთის კლუბი და ტრიკოტაჟი

# ტფილისის ბარეუბნის რაიონი იძენს თვითმფრინავს

# ლითონთა ფერისცვალების საამქრო



ახე შეიძლება ვუწოდოთ პირველ ამიერ-კავკასიაში — გალვანო-ტექნიკურ საამქროს, რომელიც ახლახან მოაწყეს ტფილისის სპილენძისსატკეც ქარხანასთან. გალვანო-ტექნიკურ საამქროში ლითონისაგან დამზადებულ სხვადასხვა პროდუქციას — უთოებს, ჩაიდნებს, ძვირფასი მანქანების ნაწილებს, რკინისსაწოლებს და სხვ. ფერავენ სხვადასხვანაირად — თითბერით, ნიკელით, სპილენძით, თუთიით და ვერცხლით.

ჩაის მანქანებს და მევენახეობა-მეღვინეობაში საჭირო მანქანებს აქვს ისეთი საპასუხისმგებლო დეტალები, რომლებმაც ... ქანათმშენებელი ქარხნები იძულებული იყვნენ მანქანათა ახეთი საპასუხისმგებლო დეტალები მთლიანად ფერადი, ჟანგუკარებელი ლითონებისაგან ... და ეს იწვევდა დამზადებულის თვითღირებულების ზრდას.

სპილენძის ქარხნის ხელმძღვანელობამ (დირექტორი ამხ. დ. კოპალეიშვილი, პარტკომი ამხ. მ. როგაძე, ...) შეძლო შინაგანი რეზერვების მობილიზაციის საშუალებით ...

... ფერადება ჯდება 25 მანეთი, ხოლო ერთი კვადრატული მეტრი ფერადი ლითონი (რომლის მაგიერაც ამჟამად გაფერადებულ რკინას იყენებენ) ღირს 100 მანეთი.

სათანადო ცდების ჩატარებამ დაადასტურა, რომ ფერადი ლითონით გაფერადებული რკინისაგან დამზადებული მანქანის დეტალი, გარდა იმისა, რომ სამი მეოთხედით იაფი ჯდება, ... ამავე დროს ...

# მეცნიერება და ტექნიკა

## ცილა არაორგანიულ ნივთიერებებიდან

# „დინამოს" სტადიონზე მოეწყობა ირემების საშენი

# გამოაქვთ ბაზარზე პაპიროსის ახალი პარტია

ა.-კ. მომარაგების სახალხო კომისარიატმა ქალ. ტფილისისა და ტფილისის საგარეუბნო კურორტების პაპიროსით მომარაგების გასაუმჯობესებლად მეორე კვარტალისათვის გამოყო დამატებითი ფონდი. ალნიშნული ფონდიდან უახლოეს დღეებშივე ტფილისის ბაზარზე გამოტანილი იქნება 700.000 მანეთის უმაღლესი ხარისხის პაპიროსი.

აქედან, ტ. ს. ო. კ-ის (ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირი) ქსელში გასაღებული იქნება 175.000 მანეთის პაპიროსი, საქკვებვაჭრობის ქსელში — 1[illegible]00 მანეთის, ტფილისის კოოპკავშირს გადაეცემა (კურორტებზე გასაგზავნად) — 10.000 მანეთის, მანგლისის კოოპკავშირს — 10.000 მანეთის, „ტაბტორგს" — 220 ათასი მანეთის და სამხ. კოოპ. „ბოეცს" — 50.000 მანეთის პაპიროსი, ხოლო დანარჩენი რაოდენობა განაწილებული იქნება საქონლის დამტარებლებსა და კიოსკებს შორის.

# შუა-აზიის ფაუნის წარმომადგენლები ზოოპარკში

ტფილისის ზოოპარკში უხვად არიან მოცემული კავკასიის ფაუნის (ცხოველთა სამყაროს) წარმომადგენლები. აქ არიან: შვლები, ჯიხვები, არჩვები (გარეული თხა), მაჩვები, მელიები, მგლები, დათვები, წავები და სხვ. კავკასიის გარეულ ცხოველთა მრავალფეროვნების მხრივ ტფილისის ზოოპარკს საბჭოთა კავშირის ზოოპარკებს შორის პირველი ადგილი უჭირავს.

ზოოპარკს მჭიდრო კავშირი აქვს მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის და სხვ. ქალაქების ზოოპარკებთან. ალნიშნულ ზოოპარკებს შორის წარმოებს სხვადასხვა ჯიშის ცხოველთა გაცვლა-გამოცვლა. ტფილისის ზოოპარკი მათ უგზავნის კავკასიური ჯიშის გარეულ ცხოველებს და სამაგიეროდ ღებულობს შუა-აზიის, ციმბირის, არქტიკის და აფრიკული გარეული ცხოველების წარმომადგენლებს.



# ჭადრაკი

# ამინდი საქართველოში

## 10 ივნისის დილის 8 ს. 11 ივნისის დილის 8 საათამდე

დასავლეთ საქართველოში დღისით 10 ივნისს იდგა მშრალი ამინდი ცვალებადი მოღრუბლულობით. ღამით ყველგან მოვიდა წვიმა. ნალექების რაოდენობა ყველაზე მეტია ბათომის მიდამოებში (28 მილიმეტრამდე), ხოლო დანარჩენ რაიონებში ნალექთა რაოდენობა არ აღემატება 7 მილიმეტრს. ჰქროდა დასავლეთის ზომიერი ქარი. ტემპერატურა ცვალებადი იყო, დღისით 29 გრადუსიდან (სამტრედია) 17 გრადუსამდე (შოვი) და ღამით 17 გრადუსიდან (ფოთი) 12 გრადუსამდე (წიფა).

აღმოსავლეთ საქართველოში დღისით მშრალი ამინდი იდგა. ღამით ყველგან მოვიდა წვიმა, ხოლო ტფილისისა და საგარეჯოს რაიონებში წვიმა ელ-ჭექის ხასიათისა იყო. ნალექების რაოდენობა უდრის — ტფილისის მიდამოებში 15 მილიმეტრს, ხოლო დანარჩენ რაიონებში არ აღემატება 8 მილიმეტრს. ჰქროდა სუსტი ზომიერამდე დასავლეთის ქარი. ტემპერატურა დღისით აღწევდა 27 გრადუსიდან (ტფილისი) 10 გრადუსამდე (გუდაური), ხოლო ღამით იგი ცვალებადი იყო — 16 გრადუსიდან (ტფილისი, ყარაია, ლაგოდეხი) 7 გრადუსამდე (ყაზბეგი).

მოსალოდნელი ამინდი 12 ივნისისათვის: დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, სუსტი წვიმა, დასავლეთის ქარის გაძლიერება და ტემპერატურის მცირე დაკლება.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, გარდამავალი წვიმა, დასავლეთის ქარის გაძლიერება და ტემპერატურის მცირე ცვლილება.

# სახელგამის ახალი გამოცემანი

საკავშირო მწერალთა ყრილობასთან დაკავშირებით სახელგამი უშვებს შემდეგ წიგნებს: ლ. ქიაჩელი — ნოველები, გ. ქუჩიშვილი — ლექსები, ე. პოლუმორდვინოვი — „ილვიძებენ მთები", მ. ჯავახიშვილი — თხზულებანი ტ. 2 და 3, ბ. ჩხეიძე — მოთხრობები, შ. დადიანი — პიესები, თურქული მწერლების კრებული, ან. ერისთავ-ხოშტარია — მოთხრობები, ქ. გამსახურდია — გოეთეს ცხოვრების რომანი, პ. ჩხიკვაძე — მოთხრობები, ხ. ჩიქოვანი — ლექსები, ტ. ტაბიძე — რჩეული ლექსები, ხ. ეული — ფოლადის პოეტი, ვ. გორგაძე — ლექსები, შოლოხოვი — გატეხილი ყამირი და სხვ. ნაწილი ალნიშნული წიგნებისა უკვე დაიბეჭდა და გამოვიდა ბაზარზე, ხოლო დანარჩენები გამოვა ამ დღეებში.

# ქრონიკა

# პარტკალენდარი




სახელმწიფო თეატრები — „in tirannos"

ოპერეტა — „ბაიადერა"

12 ივნისიდან — „ემერი"

„ტფილსოფმრეწვი" — 15 ივნისიდან გაიღება ყინული

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

რუსთაველის თეატრის ათი წლის თავის შემდეგ

გაზ. „კომუნისტი"-ს სტამბა

ა.-კ. მაცივარტრესტი

საპროექტო ბიურო

საჯარო ვაჭრობით

ლიკვიდაცია

დაკარგულია